

ჩურჩულით სათქმელი, საწვავის გაძვირების მიზეზები

A2



"კინოსტუდია" "ფიფიაფილმი" წარმოგიდგენთ...

A2



"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 15 სექტემბერი, 2005 წელი. №206 (1066)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### "გაზპრომმა" დროის ათვლა დაიწყო

თუ რუსულ ენერგოგიგანტს "გული საკმარისად არ მოულბა", უკანასკნელი ინფორმაციით, "გაზპრომი" საქართველოსთვის მოსაწოდებელი გაზის საფასურის 60-დან 110 აშშ დოლარამდე გაძვირებით იმუქრება.

A3

## ამბები

### რა ვერ თქვა ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მინისტრმა თემის "გაციება" არ ისურვა და სათქმელი უშუალოდ სხდომის შემდეგ, საგანგებო ბრიფინგზე მაინც თქვა.

A3

## ამბები

### საელჩო საჩუქრად



გუშინ, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში, ამ ქვეყანაში საქართველოს საელჩოს მომავალი შენობის მაკეტების პრეზენტაცია გაიმართა.

A3

## პროექტი

### კოდორის აქცია

აფხაზეთის ახალგაზრდული სამმართველოს უფროსი არჩილ ჩხეიძე გულრიფშის რაიონიდანაა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ომის მთელი უბედურება, მათ შორის, კოდორის ხეობის ჯვარცმული გზა. ამიტომ მიაჩნია, რომ კოდორში მცხოვრებლებს და იქ დაღუპულებს განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა სჭირდებათ.

A4

## ამინდი

| | 15/09 | 16 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 32 |
| ტყიბული | 27 | 31 |
| სოხუმი | 27 | 29 |
| დმანისი | 23 | 26 |
| გორი | 24 | 27 |
| ონი | 22 | 23 |
| ზუგდიდი | 30 | 33 |
| ახმეტა | 28 | 31 |
| გაგრა | 25 | 26 |
| სამტრედია | 30 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.2014 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2684 |
| რუბლი | 0.0633 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| სხვადასხვა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რეკლამა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# უდიდესი სამიტი მსოფლიოს ისტორიაში

### მსოფლიოს ლიდერები ათასწლეულის გამოწვევებს ახალი იდეებითა და იმედგაცრუებებით ხვდებიან

ნიკა თარაშვილი

*იგი წინასწარ იქნა შერაცხული უდიდეს სამიტად მსოფლიოს ისტორიაში: სამყაროს განვითარების ამბიციური გეგმებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდერნიზების იდეით. მაგრამ გუშინ დაწყებული სამდღიანი სამიტის დასასრულს მსოფლიოს 170-ზე მეტი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, სავარაუდოდ, ისეთ დოკუმენტს მოაწერს ხელს, რომელიც შორს იქნება თავდაპირველად დეკლარირებული მიზნისგან. ნიუ იორკში 14 სექტემბერს გაერო-ს მესამოცე საიუბილეო ასამბლეა საქართველოსთვის სასიხარულო ინფორმაციით გაიხსნა - მსოფლიოს ყველაზე წარმომადგენლობით ფორუმზე ჩვენს ქვეყანას ხმის უფლება აღუდგა.*

გაგრძელება A5 გვერდზე



*ჯორჯ ბუში, როგორც ყოველთვის, მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი.*

# ჩარიცხულები და "გარიცხულები"?!

დალი კუპრავა

*ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიამ, რომელიც აგვისტოს ბოლოს ეროვნული გამოცდების ინტერნეტ-გვერდზე და გაზეთში გამოქვეყნდა, ცვლილება განიცადა. თავდაპირველ სიაში მყოფ 71 აბიტურიენტს ეცნობა, რომ ისინი ჩარიცხულები არ არიან, და შეუძლიათ მონაწილეობა მეორად კონკურსში მიიღონ. განათლების სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტის თავმჯდომარის ლევან გახელაძის განცხადებით, "ჩვენ კანონიერად მოვიქეცით და ჩავრიცხეთ ის 71 აბიტურიენტი, რომელიც ტექნიკური შეცდომის გამო, თავდაპირველ სიაში ვერ მოხვდა". შესაბამისად, სიას "შეცდომით ჩარიცხულები" გამოაკლდნენ. სამართლიანია თუ არა განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, შესაძლოა, სასამართლოს გადასაწყვეტი გახდეს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*"სტუდენტურმა ალტერნატივამ" მშობლრბი და აბიტურიენტები შეკრიბა.*

# აუშენებელი აეროპორტის ქრონიკები

### "აერომშენებელთა შეჯიბრება" მთავრობის გამარჯვებით დასრულდა

*დღეს ეკონომიკური განვითარების მინისტრი საზოგადოებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტის პროექტს წარმოუდგენს. რამდენიმეთვიანი დაძაბული სატენდერო პერიპეტიების შემდეგ მთავრობა აეროპორტის მშენებლებს საბოლოოდ აუნთებს "მწვანეს". 15,5 წლის მართვის უფლებით, თბილისის ახალი აეროპორტი თურქული კონსორციუმის "ტავისა" და "ურბანის" ხელში იქნება.*

დიანა ჩაჩუა

#### ყველაფერი კი ასე იწყებოდა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე ტენდერი 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სადაც თურქული "ჩელების", ლუქსემბურგული "ჯი-თი-ეს"-ის და ამერიკული "ეი-ენდ-ჯეი"-ის კონსორციუმმა გაიმარჯვა. ამ კომპანიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, კონსორციუმს ლუქსემბურგული კომპანია გამოეყო, რის შემდეგაც გამარჯვებულ კონსორციუმს ფინანსური პრობლემები შეექმნა და დადგენილ ვადებში საკუთარი გამარჯვება ფინანსური გარანტიით ვერ გაამყარა. შედეგად, აეროპორტის მშენებლობა მთავრობამ ტენდერში მონაწილე სხვა კომპანიას "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმს მიანდო, მაგრამ ტენდერის გამო ატეხილი დიდი მითქმა-მოთქმა და ექსპერტთა უკმაყოფილება არ განელებულა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ირაკლი ჩოგოვაძე: "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმის გარშემო არაკეთილსინდისიერი და უპატიოსნო განცხადებები ვრცელდება, რაშიც "შავი პიარის" ელემენტები ჩანს.*

# არშემდგარი გმირი

### საპარლამენტო უმრავლესობის მსჯელობა კობა ბექაურის გადადგომით დასრულდა

*ტერმინალ "ოპიზას" საქმიანობის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნის გადაწყვეტილება, სტუდია "რეპორტიორის" მიერ მომზადებული და ორი დღის წინ ტელეკომპანია 202-ის ეთერით გასული დოკუმენტური ფილმის კრიტიკა და კობა ბექაურის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარის მოადგილის პოსტის "ნებაყოფლობით" დატოვება - ასე დამთავრდა გუშინდელი დღე პარლამენტში. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ გუშინ პარლამენტში მოვლენები ზუსტად იმ სცენარით განვითარდა, რომელსაც საპარლამენტო კულუარებში ყველაზე ლოგიკურად მიიჩნევდნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

თავად ის ფაქტი, რომ კობა ბექაური პოსტიდან გადადგა და "ოპიზას" საქმიანობას პარლამენტის სპეციალური საგამოძიებო კომისია შეისწავლის, ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში, რბილად რომ ვთქვათ, კობა ბექაურის სიმართლის არ სჯერათ. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჯერ კიდევ სამიოთხი დღის წინ კობა ბექაური ამ ნაბიჯის გადადგმას არ აპირებდა. მან გადაწყვეტილება, სულ რაღაც, ორ დღეში შეცვალა და სულაც არ არის გამორიცხული, მას ამ ნაბიჯის გადადგმაში თავისი კოლეგებიც "მიეხმარნენ". ყოველ შემთხვევაში, როგორც პარლამენტში ამბობდნენ, ბოლო ორი დღის განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები სწორედ იმაზე ბჭობდნენ, როგორ გამოსულიყვნენ შექმნილი უხერხული მდგომარეობიდან ისე, რომ არც ოპოზიციისათვის მიეცათ ქილიკის საშუალება, და არც კობა ბექაური გამოსულიყო გმირად, რომელმაც, როგორც თვითონ აცხადებდა, მედიაში კორუფციის აღმოფხვრის მისია იკისრა და რომელსაც, კვლავ მის სიტყვებს თუ დავესესხებით, არც ერისთვის, არც სამშობლოსთვის და არც პარტიისთვის არასდროს ულალატია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "თიბისი ბანკი" მსოფლიოს საუკეთესო ბანკების რეიტინგში მეოთხედ დასახელდა

*6 სექტემბერს ლონდონში მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული საბანკო კონკურსის, "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) ყოველწლიური საბანკო რეიტინგის შედეგები გამოცხადდა, სადაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის, ზედიზედ უკვე მეოთხედ, დასახელდა ქართული "თიბისი ბანკი".*

"ფაინენშლ თაიმს გრუპი" (Financial Times Group) და მისი ჟურნალი "ბანკერი" (The Banker) ყოველწლიურად განიხილავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საბანკო სექტორს და საუკეთესო ბანკების რეიტინგს ადგენს. ამ კონკურსზე ქართული ბანკების განხილვა პირველად 2002 წელს მოხდა, როდესაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის "თიბისი ბანკიც" დასახელდა. ეს ფაქტი მთლიანად ქართული საბანკო სექტორის სერიოზულ საერთაშორისო წარმატებად შეფასდა.

წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალი ლონდონში გაიმართა. ამჯერად, საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხილულ იქნა მსოფლიოს 138 ქვეყნის საბანკო სექტორი. "წლის საუკეთესო ბანკების" რეიტინგში "თიბისი" მოხვდა ისეთი სახელგანთქმული ინსტიტუტების გვერდით, როგორებიცაა: "ეიჩ-ეს-ბი-სი" (HSBC), "დოიჩე ბანკი" (Deutsche Bank), "იუ-ბი-ესი" (UBS), "ჯეი პი მორგანი" (JP Morgan), "ბანკ ოვ ამერიკა" (Bank of America ), "სითი გრუპი" (CT Group), "მერილ ლინჩი" (Merrill Lynch) და სხვები.

**"დღეისათვის "თიბისი" წარმოადგენს საქართველოში ყველაზე მსხვილ კომერციულ ბანკს, რომლის წილი ქვეყნის მთლიან აქტივებში 27,7 პროცენტია, ხოლო მთლიან დეპოზიტებში - 34,1 პროცენტი. "თიბისი ბანკის" საქმიანობა გვიჩვენებს ბანკის სერიოზულ ზრდას ბიზნესის დაფინანსების, მაღალი დონის რისკ-მენეჯმენტისა და კარგად დივერსიფიცირებული საინვეტიციო ბაზის კუთხით. გასულ წელს სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა "თიბისი ბანკის" გაყიდვების სისტემის დახვეწისა და კლიენტებთან ურთიერთობის ჩამოყალიბების მიმართულებით,"** - წერს ჟურნალი "The Banker" (სექტემბერი, 2005 წელი).

გაგრძელება A3 გვერდზე

# თურქი ბიზნესმენები ქართველ პარტნიორებს ეძებენ

*საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, თურქები, ვაჭრობის გარდა, საქართველოს ბიზნესგარემოს უფრო სერიოზული სფეროებით დაინტერესდნენ. თუმცა, გუშინ, ქართულ-თურქული ბიზნესფორუმის მეორე დღეს, ქართული საქმიანი წრეების წარმომადგენლების ნაკლებობა იყო.*

ეთერ მამულაშვილი
ნინო ნარჩემაშვილი

დღემდე საქართველოში თურქული ინვესტიციები, ძირითადად, სავაჭრო სფეროშია განხორციელებული. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია მცირე და საშუალო ინვესტიციები, რომლებიც უმეტესწილად თურქეთის მეზობელი რეგიონის - აჭარისკენ იყო მიმართული, ისევ და ისევ კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო სფეროებში. თურქი ბიზნესმენების ძირითადი ინტერესი დღესაც სწორედ ამ რეგიონისკენ არის მიმართული - იქნება ეს რკინიგზის მშენებლობა, რომლის იდეა პირველად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააჟღერა, თუ ავტობანის მშენებლობა, რაც უნდა წაადგეს როგორც საქართველოს, ისე - თურქეთის სატრანზიტო ფუნქციის სრულყოფას.

თუმცა, საქართველოში ისეთი პერიოდიც იყო, როცა სოფლის მეურნეობის სფეროში თურქული პროდუქციის მოზღვავებისგან თავის დაცვა საქართველოსთვის საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ეს ეჭვები ნაკლებად ეხება იმ თურქ ბიზნესმენებს, რომლებიც ამ დღეებში თურქეთის სახელმწიფო მინისტრის ამალაში შედიოდნენ და რომელთა გააქტიურება ქართულ საინვესტიციო ბაზარზე, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წაადგება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "კინოსტუდია" "ფიფიაფილმი" წარმოგიდგენთ...

გიორგი ასანიშვილი

ზუგდიდის მაჟორიტარი გოჩა ფიფია ამტკიცებს, რომ დეპუტატთა ნაწილი საკუთარი ბიზნესის ლობირებით არის დაკავებული, რის გამოც პარლამენტი ნორმალურად ვერ მუშაობს და სრულფასოვან საკანონმდებლო ბაზას ვერ ქმნის. ფიფია იმასაც ირწმუნება, რომ, თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილის მიერ შევარდნაძის მთავრობის სხდომაზე აფრიალებულ ფოტოებზე აღბეჭდილი ფეშენებელური სახლების მფლობელები დღევანდელი დეპუტატები არიან.

ოპოზიციონერი პარლამენტარი პირობას იძლევა, რომ ორ თვეში წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ შექმნილ ფილმს, რომელშიც საუბარი იქნება ყველა მდიდარ პოლიტიკოსზე, პარლამენტის თავმჯდომარიდან დაწყებული, რიგითი დეპუტატებით დამთავრებული. ფილმში გამოსაყენებელი მასალების მოძიებაში მას საზოგადოების თანადგომის იმედიც აქვს და ინფორმაციის მიმწოდებლებს ანონიმურობის დაცვას ჰპირდება.

გოჩა ფიფია ფილმის ყველა "პერსონაჟზე" დღეს არ საუბრობს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ჯგუფის ნამუშევარში საუბარი იქნება ნინო ბურჯანაძის, ვანო ჩხარტიშვილისა და ბეჟუაშვილების ქონების წარმომავლობაზე.

როგორც "24 საათი" წერდა, ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ამას წინათ გააკეთა, აგრეთვე, განცხადება იმის შესახებ, რომ "საპარლამენტო ოპოზიციის წევრთა თვალთვალმა და სატელეფონო მოსმენებმა მასობრივი ხასიათი მიიღო". პარლამენტარი იმ ექსპერიმენტზე საუბრობდა, რომელმაც მას ამის მტკიცების საფუძველი მისცა. დეპუტატი აზუსტებს, რომ ეს ექსპერიმენტი მისმა მეგობრებმა ჩაატარეს და პირადად მას მასში მონაწილეობა არ მიუღია. ფიფიას თქმით, ექსპერიმენტის დროს სამართალდამცავები "შემთხვევის ადგილზე" არ მისულან, თუმცა, მათი მხრიდან თვალთვალი მაინც შენიშნეს.

## ერთი სამსახური ოთხის სანაცვლოდ

თამარ მაისურაძე

**"ქალაქის მთავრობას აღებული აქვს კურსი, რათა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეიქმნას ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობები. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს თბილისში არსებული ზოგიერთი მაკონტროლებელი ორგანოების ლიკვიდაცია და მათი თავმოყრა ერთ საქალაქო სამსახურში,"** - ვკითხულობთ თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აქედან გამომდინარე, ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის, ადმინისტრაციული და არქმშენინსპექციებისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ბაზაზე თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური შეიქმნა.

**"ვულოცავ ქალაქის მერიას, რომ ზედამხედველობის ასეთი სამსახურის ჩამოყალიბება მოხერხდა. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ასე, ერთობლივად უფრო ადვილი იქნება ადმინისტრირება. თან ოპტიმალური ვარიანტიცაა, რადგან სახელმწიფოს არ აქვს იმდენი საშუალება, რომ სხვადასხვა სამსახურები ცალ-ცალკე შეინახოს,"** - განაცხადა მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში სტუმრობისას თბილისის მერმა გიგი უგულავამ და დასძინა, რომ ნდობას უცხადებს ახალი სამსახურის ხელმძღვანელს ლაშა მაქაცარიას, რომელიც **"კვალიფიციური კადრია და შეძლებს დაკისრებული მისიის განხორციელებას."**

ყოფილი "კმარელი", შემდგომ კი შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი ლაშა მაქაცარია თბილისის მერს კეთილსინდისიერად მუშაობას ჰპირდება. მის სამსახურში კეთილსინდისიერება აუცილებელი "ატრიბუტია", რადგან, როგორც თავად ქალაქის მერმაც აღნიშნა, კორუფცია თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისგან შორს არაა.

**"ეს სამსახური ქალაქის მუნიციპალიტეტის სახე უნდა გახდეს,"** - განაცხადა თბილისის მერმა. ახალმა სამსახურმა ცდუნებას უნდა გაუძლოს. მისი ახალი ხელმძღვანელი დღეს ამის პირობას იძლევა. ხვალიდან კი სამსახური სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას გეგმავს.

*მოკლედ*

### მიხეილ სააკაშვილმა და კონდოლიზა რაისმა კონფლიქტების მოგვარების საკითხები განიხილეს

თბილისი. ნიუ-იორკში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან შეხვედრა გამართა. მათ აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხები განიხილეს.

კონდოლიზა რაისმა საქართველოს პრეზიდენტს აღუთქვა, რომ კონფლიქტების მოგვარების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატები უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. **მედიანიუსი**

### ირაკლი ოქრუაშვილი: რუსეთის საქმე არ არის, სად და ვისგან შევიძენთ იარაღს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილს აბსურდულს უწოდებს რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას, თითქოს საქართველო ჩეხეთში შეძენილი იარაღით აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას აპირებს.

"რუსეთის საქმე არ არის, სად და ვისგან შევიძენთ იარაღს. ეს არის საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, უფლება," - განაცხადა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო ჩეხეთისგან მართლაც იღებს მთელ რიგ შეიარაღებას და აღჭურვილობას, რომლის ნაწილიც საქართველოს უსასყიდლოდ გადაეცემა. თუმცა, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი განმარტავს, ჩეხეთის მთავრობის ეს ნაბიჯი არის კეთილი ნების გამოვლინება და სურვილი იმისა, რომ დაეხმაროს საქართველოს, როგორც საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ერთ-ერთ წევრს. **ინტერპრესნიუსი**

### ნოდარ გრიგალაშვილი: დეპუტატებმა პარლამენტსა და ბიზნესს შორის არჩევანი უნდა გააკეთონ

პარლამენტარ ნოდარ გრიგალაშვილის მოსაზრებით, დეპუტატებმა პარლამენტსა და ბიზნესს შორის არჩევანი უნდა გააკეთონ.

თუკი ბიზნესსა და პარლამენტს შორის არჩევანს ყველა დეპუტატი გააკეთებს, საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიცია აღარ იარსებებს, - აცხადებს გრიგალაშვილი, თუმცა, არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, საპარლამენტო უმრავლესობის რიგებიც შეთხელდეს.

გრიგალაშვილის განცხადებით, მან ნახა სტუდია "რეპორტიორის" მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი, თუმცა "ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ, უფრო მძიმე ფაქტებს ელოდა."

"თუ მევახშეობის გარეშე ფულის სესხება კანონით ისჯება, მაშინ ეს კანონი შესაცვლელია, რადგან კანონი ერის სულიერებას უნდა ერგებოდეს," - აღნიშნა ნოდარ გრიგალაშვილმა.

მისივე თქმით, "მემარჯვენე ოპოზიციას" არანაირი მორალური უფლება არ აქვს, ისაუბროს ბექაურის ბიზნეს-ინტერესებზე, რადგან, ამ ფრაქციის თითქმის ყველა წევრს საკუთარი ბიზნესი გააჩნია. **ინტერპრესნიუსი**

## ჩურჩულით სათქმელი, საწვავის გაძვირების მიზეზები

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტარები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საწვავზე ფასების ზრდამ ხელი შეუწყო ქვეყანაში ინფლაციის ზრდას და სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მატება გამოიწვია. საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების გუშინდელ გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატები საწვავის გაძვირების კონკრეტულ მიზეზებში გარკვევას ცდილობდნენ.*



*"ყურში მაინც ჩამჩურჩულეთ..."*

ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარის, ბესო ჯუღელის აზრით, საწვავზე ფასების მომატების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ნავთობისა და გაზის მარეგულირებელმა სააგენტომ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებს ლიცენზიები ჩამოართვა და ისინი ვეღარ ფუნქციონირებენ. დეპუტატის თქმით, მათი ამოქმედების შემთხვევაში ქვეყნის ბიუჯეტი 20-25 მილიონ ლარს მიიღებს. ჯუღელი ითხოვს კომისიის შექმნას, რომელიც გაარკვევს, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების მუშაობის შეჩერება.

ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარე ფინანსთა სამინისტროს რიგ გადაწყვეტილებებს ეჭვის თვალით უყურებს და ითხოვს განმარტებას, თუ "რატომ აფერხებს ეს უწყება ადგილობრივი, ეროვნული წარმოების განვითარებას".

**"კერძო ინტერესები და ბიზნესი თუ გაქვთ საწვავის სფეროში და ამის ხმამაღლა თქმას ვერ ბედავთ, ყურში მაინც ჩამჩურჩულეთ,"** - "სთავაზობს" ბესო ჯუღელი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. დეპუტატის ეჭვებს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მეწარმეთა მტკიცებით, ლიცენზიის ჩამორთმევამდე რამდენიმე თვით ადრე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ არაოფიციალურად მოსთხოვეს საწარმოთა მუშაობის შეჩერება.

მეწარმეთა და დეპუტატთა მხრიდან წამოსული ბრალდებები ფინანსთა მინისტრის მოადგილეს გიორგი გოდაბრელიძეს უსაფუძვლოდ მიაჩნია.

**"თუ საწარმოები პატიოსნად მუშაობენ, კანონს არ არღვევენ და გადასახადებს იხდიან, როგორ შეიძლება, ვინმემ მათი დახურვა მოითხოვოს, და თუ მაინც მოითხოვა, საწარმოს მფლობელი ამაზე რატომ დათანხმდება?"** - გაოცებას გამოთქვამს გოდაბრელიძე.

თავის მხრივ, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა კილაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ნავთობის ექსპორტის სფეროში მომუშავე სამ-ოთხ კომპანიას სახელისუფლებო ჯგუფებთან მჭიდრო კავშირები აქვს. პარლამენტარი მოითხოვს, რომ ბიზნესმენები თანაბარ პირობებში მოექცნენ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მონოპოლიის საშიშროება შეიქმნება. ამასთან, ვაჟა კილაძისთვის გაუგებარია, ნავთობმარაგების შექმნა რატომ ადრე არავის მოუვიდა აზრად და ამ თემაზე გარკვეულ წრეებში ალაპარაკდნენ ახლა, როდესაც ნავთობის საერთაშორისო ფასი საკმაოდ მაღალია.

კომისიის შექმნას ორივე კომიტეტის წევრებმა გუშინ ერთხმად დაუჭირეს მხარი. მისი შემადგენლობა მოგვიანებით დასახელდება, ჯერჯერობით კი პარლამენტარები იმაზე შეთანხმდნენ, რომ კომისიაში, კანონმდებლების გარდა, მთავრობის წარმომადგენლები და ჟურნალისტებიც შევლენ.

## არშემდგარი გმირი

პირველი გვერდიდან

საკმოდ საინტერესოა ერთი დეტალი: უმრავლესობამ გუშინ მხოლოდ "ოპიზას" საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და დროებით დაივიწყა დავით გამყრელიძის ბიზნესსაქმიანობა, რომლის შესწავლასაც პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია აქამდე დაჟინებით ითხოვდნენ.

ასეთი მოულოდნელობა მიხეილ მაჭავარიანმა ასე ახსნა: **"უმრავლესობამ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ოპოზიციას პოლიტიკური სპეკულირების თემა არ მისცემოდა."** თუმცა, იგი "ახალ მემარჯვენეებს" მაინც დაემუქრა. მაჭავარიანის თქმით, **"მას შემდეგ, რაც "ოპიზას" საქმე გამოკვლეული იქნება, კომისია უკვე სადაზღვევო კომპანია "ალდაგისა" და ყველა იმ ბიზნეს-საქმიანობას შეისწავლის, რომელშიც დეპუტატები მონაწილეობენ."**

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი განაცხადა, რომ **"კომისიის შექმნით, უმრავლესობა შეეცადა, საზოგადოებისთვის დაენახვებინა, რომ მას ნებისმიერი დეპუტატის ნებისმიერი კანონდარღვევის ობიექტიური გამოძიება სურს."**

თავად საგამოძიებო კომისიის შემადგენლობის ნახევარი ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება. **"კომისიის თავმჯდომარე ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომლის წესიერებაში და პატიოსნებაში ეჭვი არავის შეეპარება,"** - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა. ჩვენი ინფორმაციით, ეს მისია კონსერვატორ კახა კუკავას დაეკისრება, თუმცა არ არის გამორიცხული, ეს მხოლოდ პარლამენტში მოარული ხმები იყოს.

გუშინ, საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის დაწყებამდე თადერთი, ვინც საკუთარ დამოკიდებულებას საჯაროდ არ მალავს და შალვა რამიშვილსაც და კობა ბექაურსაც ერთნაირად ადანაშაულებს, ელენე თევდორაძეა). სამაგიეროდ, გუშინ საკმაოდ აქტიურობდნენ ფრაქციის ლიდერები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ფილმმა ვერც ერთი ბრალდება ვერ დაამტკიცა.

მაგალითად, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ ფილმში მან ვერ დაინახა ვერც ერთი ფაქტი, რომელიც კობა ბექაურის მიერ რაიმე კანონდარღვევას ამტკიცებს. **"ის, რომ ბექაური ერევა საბაჟო ტერმინალ "ოპიზას" მართვაში, ფილმში დადასტურებული არ არის. ტელეფონით საუბარი და ბექაურის ტონი იურიდიული საფუძველი არ არის,"** - განაცხადა გივი თარგამაძემ. მანვე აღნიშნა, რომ კანონდარღვევად არ შეიძლება შეფასდეს ბექაურის მიერ 150 000 დოლარის ოდენობის სესხის აღების ფაქტიც. **"ეს კანონდარღვევა იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბექაური სესხს ისეთი ორგანიზაციიდან აიღებდა, რომელიც სესხების გაცემით არის დაკავებული,"** - განაცხადა თარგამაძემ.

**"მე იურისტი არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბექაურს კანონი არ დაურღვევია,"** - ეს უკვე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის ოფიციალური განცხადებაა, რომელსაც, როგორც ამბობენ, კობა ბექაურის თანამდებობიდან გადაყენება ყველაზე მეტად სურდა.



*ბექაური გადადგა, მაჭავარიანი კი "ახლებს" ემუქრება.*

"ოპიზას" საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. მეტიც, უმრავლესობის რიგითმა წევრებმა ისიც იცოდნენ, რომ კობა ბექაური პოსტის დატოვების შესახებ განცხადებას გააკეთებდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ უმრავლესობის წევრებს არცკი გაკვირვებიათ, როცა მათი ლიდერის მოადგილე სხდომაზე ვერ იხილეს.

ბექაურმა სხდომის გაცდენა იმით ახსნა, რომ მას არ სურდა, გადაწყვეტილების მიღების დროს თანაგუნდელები შეეზღუდა.

მოკლედ, კობა ბექაური პარლამენტში ერთ-ერთ საკვანძო პოსტს გამოემშვიდობა. როგორც ამბობენ, სამუდამოდ. თუმცა, ბრიფინგზე, რომელიც ბექაურმა საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის დასრულებიდან ორი საათის შემდეგ გამართა, მან განაცხადა, რომ იგი "სუფთაა" და თანამდებობიდან ნებაყოფლობით და დროებით იმიტომ გადადგა, რომ გამოძიებისთვის ხელი არ შეეშალა. მეტიც, მან სამართალდამცავებს, სიმართლის დადგენაში, სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ამავე დროს, კობა ბექაურმა ტელეკომპანია "202"-ის ეთერით გასულ ფილმს სიცრუე და სიყალბე უწოდა.

ცალკე საუბრის თემაა თავად ის ფილმი, რომელიც "202"-ის ეთერით გავიდა და რომელიც მთელი ამ სკანდალის საბაბი გახდა. იმის მიუხედავად, რომ ფილმმა უმრავლესობის რიგით წევრებზე საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, საკუთარი განწყობის გამოხატვას ღიად ყველა მოერიდა (ერ-

**"ფილმის ნახვის შემდეგ მოლოდინი გამიცრუვდა. ფილმის ავტორი რომ ვყოფილიყავი, ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ, ამ ფილმის გაშვების მომერიდებოდა,"** - ეს უკვე "ნაცმოძრაობის" გენერალური მდივნის გიორგი არველაძის კომენტარია.

## ჩარიცხულები და "გარიცხულები"?!

პირველი გვერდიდან

**რაც შეეხება ჩარიცხულ აბიტურიენტთა საბოლოო სიას, "24 საათი" მას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.**

**"ბავშვებს ულოცავდნენ. ისინი უკვე სტუდენტები იყვნენ. ასე ეცნობათ მათ გაზეთით, რომელსაც მინაწერი ჰქონდა, რომ მოცემული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,"** - ამბობენ მშობლები. სექტემბერში მათ ინდივიდუალურად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ეცნობათ, რომ გაპარულია შეცდომა და ისინი სტუდენტები აღარ არიან. მათ შეუძლიათ, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე ხელმეორე კონკურსში მიიღონ მონაწილეობა.

გუშინ, ორგანიზაცია "სტუდენტურმა ალტერნატივამ" ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა, შეკრიბა მშობლები, აბიტურიენტები, და მათთან ერთად დასახა მომავალი მოქმედების გეგმა.

**"გადავწყვიტოთ, შევიტანთ სარჩელს თუ არა, და ავიყვანოთ ადვოკატი, რომ ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დარღვევის საშუალება არ მივცეთ,"** -განუცხადა აბიტურიენტების მშობლებს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლაშა ბლიაძემ.

პრესკონფერენციაზე 71-ზე ბევრად ნაკლები მშობელი იყო. ისინი მხოლოდ იმით იყვნენ კმაყოფილები, რომ მარტო არ ყოფილან. **"მე შემთხვევით გავიგე, რომ "ჩვენნაირები" იკრიბებოდნენ. ვნახოთ, რას მივაღწევთ,"** - ამბობენ ისინი, და თანახმა არიან, ხელისუფლებამ დაამატოს ადგილები და მათი შვილები ისე ჩაირიცხონ იმავე ფაკულტეტებზე, რომლებიც მითითებული ჰქონდათ.

რაც შეეხება ხელმეორე კონკურსს, პრესკონფერენციაზე მყოფნი უარს აცხადებენ, დარჩენილ ვაკანსიებს შორის ამოარჩიონ ფაკულტეტი. **"თბილისელ ბავშვს რეგიონში ვერ გავუშვებ", "აქ რა სწავლებაა და რეგიონში რა უნდა იყოს!" "გაგვცენ პასუხი და პასუხი აგონ იმ მატერიალური და მორალური ზარალისთვის, რაც ჩვენ განვიცადეთ,"** - ამბობენ მშობლები.

როგორც განათლების სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან გახელაძემ "24 საათს" განუცხადა, "71 პლუს 71" ადამიანის ბედი ერთმა საბედისწერო შეცდომამ გადაწყვიტა, რომელმაც დაანგარიშების დროს დომინოს პრინციპით კიდევ 70 უკანონო გადაწყვეტილება მოიტანა. **"რომ არა ხელმეორე დაანგარიშებები და გადამოწმება, უსამართლოდ 71 ადამიანი დარჩებოდა გარეთ. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, რომ მეორე 71 მორალურად დაზარალდა, მაგრამ მათი ნაწილი ხელმეორე კონკურსში მონაწილეობს. რაც შეეხება "შეცდომას", ეს პირველი წელია და გაისად ბევრ რამეს შეცვლა დასჭირდება, რომ სრულიად დაზღვეულნი ვიყოთ. სასამართლოში სარჩელის შეტანა კი მათი უფლებაა. რაც შეეხება ოფიციალურ სიას, ის კანონიერი მხოლოდ მაშინაა, როცა ბეჭედი დაესმება. შესაძლოა, ჩვენ ავჩქარდით, საზოგადოების ნებას ავყევით და მრავალჯერადი შემოწმების გარეშე გამოვაქვეყნეთ სიები,"** - თქვა ლევან გახელაძემ.

"სტუდენტური ალტერნატივა" აცხადებს, რომ **"საზოგადოება სათანადოდ არ იყო ინფორმირებული გამოცდების მიმდინარეობასა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ."** ამის გამოსწორებასაც ეროვნული გამოცდების ცენტრი ერთწლიანი საინფორმაციო სამსახურის საქმიანობით - სპეციალური დანიშნულების ბუკლეტებით, სატელევიზიო განცხადებებით და სარეკლამო კლიპებით, რეგიონებში პრეზენტაციებით და ცხელი ხაზით გეგმავს.

*მოკლედ*

### შს მინისტრმა კონფლიქტის ზონა ცხინვალის გავლით დატოვა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა. შს მინისტრი დიდი ლიახვის ხეობაში სოფელ ქურთის პოლიციის ახალი შენობის პრეზენტაციას დაესწრო.

შენობამ სოფელ ქურთადან აჩაბეთში გადაინაცვლა. პოლიციის განყოფილება აჩაბეთში იფუნქციონირებს. შს მინისტრი და ადგილობრივი სამართალდამცველები დარწმუნებულები არიან, რომ დიდი ლიახვის ხეობაში სიტუაციის გაკონტროლებას სოფელ აჩაბეთიდან, ანუ დიდი ლიახვის ხეობის ცენტრიდან, უკეთ შეძლებენ.

ეს შენობა მანამდე სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის აჩაბეთის დანაყოფს ეკუთვნოდა. მას შემდეგ, რაც დანაყოფისთვის ახალი შენობა აშენდა, აღნიშნული შენობა გარემონტდა და ქურთის პოლიციის განყოფილებას გადაეცა.

შს მინისტრის განცხადებით, დიდი ლიახვის პოლიციაში იგეგმება ხელფასების გაზრდა. გაზაფხულისთვის კი ამავე განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი ყაზარმისა და სასადილოს მშენებლობა.

ახალი შენობით გუშინ პოლიციელებიც კმაყოფილები ჩანდნენ. როგორც ისინი აცხადებენ, ამგვარ პირობებში უკეთესად შეძლებენ თავი გაართვან დაკისრებულ მოვალეობას.

გუშინ ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ იგი იმ დროს ნატრობს, როცა შემოვლითი გზით აღარ მოუხდება დიდი ლიახვის ხეობაში ჩასვლა. ეს სურვილი მინისტრმა სულ მალე აისრულა და მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა ცხინვალის გავლით დაეტოვებინა.

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა მარატ კულახმეტოვმა საკუთარ თავზე აიღო, ცხინვალის გავლით, ქართული კორტეჟის გაცილება და უსაფრთხოება. ქართულმა კორტეჟმა ცხინვალი უპრობლემოდ, ექსცესების გარეშე დატოვა.

კონფლიქტის ზონის დატოვების შემდეგ შს მინისტრმა განაცხადა, რომ ოსური მხარე უნდა მიეჩვიოს იმას, რომ არამარტო ქართული კორტეჟი, ნებისმიერი მოქალაქე ცხინვალში უპრობლემოდ უნდა გადაადგილდებოდეს.

*ინტერპრესნიუსი*

### საპარლამენტო კომიტეტმა პრეზიდენტის ინიციატივას მხარი არ დაუჭირა

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტ სააკაშვილის საკანონმდებლო ინიციატივას "პროკურატურის შესახებ" კანონში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. კომიტეტის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის ინიციატივა იურიდიულად არ არის დასაბუთებული. პარლამენტში შესული პროექტის მიხედვით, გენერალურ პროკურორს, ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს, თბილისის პროკურორს და საოლქო პროკურორებს აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად უწყებაში მუშაობის 5-წლიანი სტაჟი აღარ მოეთხოვებათ. "პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა იურიდიულ განმარტებას უნდა ეყრდნობოდეს და არა რიტორიკას. განმარტებით ბარათში არ არის ჯეროვნად დასაბუთებული, რატომ სურს პრეზიდენტს, კანონის აღნიშნული ნორმა შეცვალოს," - აღნიშნა სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ.

ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ დეპუტატები გენერალურ პროკურორს ვერ მისცემენ უფლებას, უწყებაში სხვადასხვა თანამდებობაზე გამოუცდელი კადრები დანიშნოს.

პარლამენტარები აცხადებენ, რომ, შესაძლოა, გენერალურმა პროკურორმა კერძო ინტერესებითაც იხელმძღვანელოს და პროკურორებად არაკვალიფიციური კადრები დანიშნოს. ოპოზიციას მიაჩნია, რომ არ არის გამორიცხული, "პროკურატურის შესახებ" კანონში ცვლილებები პროკურორების თანამდებობებზე ხელისუფლებისთვის სასურველი პირების დასანიშნად ხორციელდებოდეს.

*ინტერპრესნიუსი*

### ბათუმში "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" აქტივისტები სცემეს

გუშინ, გვიან ღამით, ბათუმში "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" აქტივისტები სცემეს.

როგორც "კონსერვატორები" აცხადებენ, რუსთაველის ქუჩაზე საარჩევნო პლაკატების გაკვრის დროს მათ თავს 25 წლამდე ასაკის 5 მამაკაცი დაესხა, რომლებმაც პლაკატები დაუხიეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი და ბათუმის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ჯუმბერ თავართქილაძე მომხდარზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ და ფაქტის სასწრაფო გამოძიებას მოითხოვენ. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ეს "კონსერვატორების" წინააღმდეგ განხორციელებული უკვე მეორე ფაქტია. რამდენიმე დღის წინ ბათუმში კობა დავითაშვილის მანქანა გაძარცვეს.

*ინტერპრესნიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საელჩო საჩუქრად

თამარ დვალი

*გუშინ, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში, ამ ქვეყანაში საქართველოს საელჩოს მომავალი შენობის მაკეტების პრეზენტაცია გაიმართა. თურქეთის დედაქალაქ ანკარაში საქართველოს მომავალი საელჩოს მშენებლობას მთლიანად თურქული მხარე დააფინანსებს. მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება და თოთხმეტ თვეში დასრულდება. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს მომავალი საელჩოს ოთხი მაკეტი, რომელთაგან ერთ-ერთს ამოირჩევენ.*

1923 წლიდან ყველა ქვეყნის საელჩო თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გადავიდა. აქამდე საქართველოს საელჩოს მისთვის კუთვნილი შენობა არ გააჩნდა და იგი ნაქირავებ შენობაში იყო განთავსებული. დღეს თურქეთის მხარე თავის თავზე იღებს საქართველოს საელჩოს მშენებლობის ხარჯებს და მის ასაშენებლად ქალაქის ცენტრში ადგილს სთავაზობს. იმ მაკეტებიდან, რომელიც ოთხმა უმსხვილესმა თურქულმა კომპანიამ წარმოადგინა, ერთი საუკეთესო აირჩევა და შენობა საქართველოს მხარეს საკუთრებაში გადაეცემა.

**"მოლაპარაკებების პროცესი ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს.**



*საელჩოს მაკეტის პრეზენტაცია.*

**მართალია, გარკვეული პროცედურები გასავლელი დარჩა, მაგრამ ძირითადი შეთანხმება უკვე მიღწეულია. პროექტს მთლიანად თურქეთის მხარე აფინანსებს. სავარაუდოდ, მშენებლობა წელს დაიწყება და 12-14 თვეს გასტანს. მაკეტი ოთხმა მსხვილმა კომპანიამ წარმოგვიდგინა. ჩვენ პროექტის შერჩევასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას ვიღებთ. მოხარულები ვართ, რომ ადგილი სწორედ ისეთ უბანში შეირჩა, სადაც სხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსებია განლაგებული,"** - აღნიშნა "24საათთან" საუბრისას საქართველოს ელჩმა თურქეთის რესპუბლიკაში გეგა მგალობლიშვილმა.

პრეზენტაცია გუშინ თურქეთის საელჩოში გაიმართა და მას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან ერთად, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და თბილისის მერი გიგი უგულავაც ესწრებოდნენ. პრეზენტაციას საქართველოში ვიზიტით მყოფი თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ქურშად თუზმენიც დაესწრო.

# "თიბისი ბანკი" მსოფლიოს საუკეთესო ბანკების რეიტინგში მეოთხედ დასახელდა

პირველი გვერდიდან

"თიბისი" ბანკის პრეზიდენტის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, **"თიბისი" ყოველთვის ცდილობს, იყოს ნოვატორი საქართველოს ბაზარზე. გასულ წელს ჩვენ დავნერგეთ მრავალი ახალი საბანკო მომსახურება და დავხვეწეთ უკვე არსებული, საკმაოდ საინტერესო პროდუქტები. წარმატებით გრძელდება "თიბისი ბანკის" სტრატეგია ტექნოლოგიური საბანკო პროდუქტების განვითარების მიმართულებით."**

"ფაინენშლ თაიმს გრუპი" (Financial Times Group) და მისი ჟურნალი "The Banker" 1926 წლიდან ახორციელებენ ექსკლუზიურ საბანკო რეიტინგებს და ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე კომპეტენტურ ინსტიტუტს წარმოადგენენ. ჟურნალი "The Banker" მთელი მსოფლიოს საფინანსო წრეებში ვრცელდება და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) რეიტინგები მხოლოდ ბანკების უბრალო კლასიფიკაცია არ არის. ეს ორგანიზაცია კონკურსში მონაწილე ყველა ბანკს თავად ირჩევს, ეყრდნობა რა მათ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს.

კონკურსი ბანკებს სამი კატეგორიის მიხედვით განიხილავს: რეგიონული ბანკები, საინვესტიციო ბანკები და ტექნოლოგიები. "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) და ჟურნალის "The Banker" ჯილდო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საბანკო ინსტიტუტების მიღწევების ოფიციალური აღიარებაა. ამ ჯილდოს მინიჭება ხდება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელიც აფასებს არამარტო ბანკების ბოლო ფინანსურ მაჩვენებლებს, არამედ ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი მათი ინოვაციური მიდგომის მაჩვენებელს და, ასევე, ბანკის სტრატეგიულ განვითარებას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე და მიზნად ისახავს ბაზარზე ბანკის ძლიერ პოზიციონირებას. კონკურსში წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ბანკის სტრატეგიის და სტრუქტურის შესაბამისობა ბაზრის მომავალ განვითარებასთან.

*24 საათი*

# რა ვერ თქვა ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე

*მთავრობის გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში 11 საკითხი იდგა. მათ შორის - სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მიერ უკვე მერამდენედ "აგორებული" თემა დამოუკიდებელი მარეგულირებლების შესახებ, სახელისუფლებო ვერტიკალში, რომელთა არსებობაც სახელმწიფო მინისტრს, უკვე დიდი ხანია, ეზედმეტება. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, წინა საღამოს მარეგულირებლების თემა მთავრობის სხდომის დღის წესრიგიდან "გაქრა" და გაურკვეველი ვადით გადაიდო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მინისტრმა თემის "გაციება" არ ისურვა და სათქმელი უშუალოდ სხდომის შემდეგ, საგანგებო ბრიფინგზე მაინც თქვა.*

მაია ურუშაძე

მაინც, რა ვერ თქვა გუშინ ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე?

როგორც სხდომის შემდეგ გაირკვა, სახელმწიფო მინისტრს პრეტენზიები კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობასთან აქვს და საკითხის შესწავლას გენერალურ პროკურატურას სთხოვს. "მაქვს ინფორმაცია, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობის შედეგად სახელმწიფომ რამდენიმე ათეულობით მილიონი ლარი იზარალა," - განუცხადა სახელმწიფო მინისტრმა ჟურნალისტებს და დააკონკრეტა, რომ მისი აზრით, კომისიას ბრალი კომპანია "მეგაკომისთვის" 800 მეგაჰერც სიხშირეზე ლიცენზიის 50 ათას ლარად გაგრძელებაში მიუძღვის. **"ამ კომპანიას ლიცენზია სიხშირის მნიშვნელოვან ნაწილზე 50 ათას ლარად აღუდგა და ეს მაშინ, როცა ამავე სიხშირის დარჩენილი ნაწილისთვის "ჯი-ემ-სი ჯგუფმა" 27 მილიონ ლარამდე გადაიხადა,"** - აცხადებს ბენდუქიძე. მისი შეფასებით, კომისიის მხრიდან ეს **"ან კორუფციული გარიგებაა, ან იდიოტიზმი",** რომელმაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ქონების განიავება გამოიწვია.

ბენდუქიძემ "მეგაკომის" ლობირებაში უშუალოდ ქიტოშვილს დასდო ბრალი, რომელიც, მისი ინფორმაციით, საქართველოში სასტუმროების ქსელის მეპატრონეა.

სახელმწიფო მინისტრი აპირებს, უახლოეს მომავალში პროკურატურას წერილით მიმართოს და ამ საქმის გამოძიება სთხოვოს. ბენდუქიძე იმედოვნებს, რომ სამართალდამცველები მოკვლევას დაუყოვნებლივ შეუდგებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კომისიის ხელმძღვანელის დიმიტრი ქიტოშვილისა და კომისიის სხვა წევრების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გეგმავს.

ბრალდებას "აბსურდულს" უწოდებს თავად კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი და დასძენს, რომ **"ამგვარ სასაცილო ბრალდებებზე" თავის მართლებას არ აპირებს. "მეგონა, კარგ საქმეს ვაკეთებდი, როცა "მეგაკომს" თავის დროზე 30-40 ლარად ნაყიდი სიხშირის ნაწილს ვართმევდი და აუქციონზე ძვირად ვყიდდი,"** - ამბობს ქიტოშვილი. მისი თქმით, მარტო წელს კომისიის მიერ გაყიდული ლიცენზიებიდან ბიუჯეტში შესულმა თანხებმა წლის ბოლოს ჯამში 50 მილიონი ლარი უნდა შეადგინოს.

კომისიაში აცხადებენ, რომ კანონით, კომპანიებისთვის სიხშირეებზე ლიცენზიების გაგრძელება "თითქმის ავტომატურ რეჟიმში ხდება". ამიტომ, სიხშირის ნაწილის ჩანორთმევის შემდეგ, "მეგაკომი" კომისიას სასამართლოშიც კი უჩიოდა. **"მომხრე ვარ, რომ ეს საკითხი პროკურატურამ გამოიძიოს და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს სიმართლე. ისე, ჩემთვის მართლა საინტერესოა ის მიზეზები, რომელთა გამოც ბენდუქიძე ასე დაინტერესებულია კომუნიკაციების კომისიისა და პირადად ჩემი კომპრომეტირებით,"** - ამბობს ქიტოშვილი.

რა ითქვა მთავრობის სხდომაზე: 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 3 მილიარდ ლარს გადააჭარბებს.

რაც შეეხება იმ თემებს, რომელთა განხილვასაც გუშინ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ რამდენიმე საათი დაუთმო: მთავარი ის გახლავთ, რომ მთავრობამ 2006 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა უკვე დაიწყო. როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ეს პროცესი დაახლოებით ორ კვირას გასტანს, რის შემდეგაც დოკუმენტი განსახილველად პარლამენტს გადაეცემა.

წინასწარი ინფორმაციით, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დაახლოებით 3 მილიარდ 149 მილიონი ლარი იქნება. როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა დააკონკრეტა, ახალი ბიუჯეტის თანახმად, გრანტების პარამეტრი 2006 წლის ბიუჯეტში დაახლოებით 3 მილიარდ 900 მილიონ ლარს გადააჭარბებს. ალექსიშვილს იმედი აქვს, რომ მომავალი წლისათვის საგადასახადო შემოსავლები დაახლოებით 30 პროცენტით გაიზრდება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დაახლოებით 7,9 პროცენტამდეა ნავარაუდევი.

გარდა ამისა, ახალ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზრდება სოციალური ხარჯები და მისი რაოდენობა 150 მილიონ ლარს მიაღწევს. ასევე, გაიზრდება თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების დაფინანსება. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 392 მილიონს, ხოლო შს სამინისტროს 197 მილიონ ლარს მიაღწევს. 25-მილიონიანი ბიუჯეტი ექნება სასამართლოს, დაახლოებით 17 მილიონი ლარი კი რეგიონების ინფრასტრუქტურების გასავითარებლად გამოიყოფა.

მეორე თემა, რომელზეც გუშინ კომენტარები კეთდებოდა, საქართველოს მთავრობასა და "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის ხელმძღვანელობას შორის ხელმოწერილი დოკუმენტია. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ის კმაყოფილია ამ დოკუმენტის ხელმოწერით, რადგან ამ გზით საქართველო ქვეყნის სხვადასხვა დარგებისა და სფეროების დასაფინანსებლად დაახლოებით 295 მილიონ დოლარს მიიღებს. ნოღაიდელი დარწმუნებულია, რომ ეს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

როგორც ზურაბ ნოღაიდელი აკონკრეტებს, ამ თანხიდან დაახლოებით 47 მილიონი დოლარი მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციას მოხმარდება, 60 მილიონი - ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარებას, 50 მილიონი კი - ტურისტული და გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას. მისივე თქმით, მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯება ასევე სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციაზე, რის შემდეგაც საქართველოში დასავლური ინვესტიციების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

# "გაზპრომმა" დროის ათვლა დაიწყო

### ჩანს, რუსული გაზის ტარიფის ოდენობა ქართული მხარის "კეთილგონიერებაზეა" დამოკიდებული

მაია ურუშაძე

*"გაზპრომი" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსგან ქართულ მხარესა და "გაზპრომს" შორის ურთიერთობების შესახებ წინადადებების მიღებას 19 სექტემბრისთვის ვარაუდობს. ამის შესახებ "გაზექსპორტის" ქართველმა წარმომადგენელმა დავით მორჩილაძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა. თუ ამ წინადადებებმა რუსულ ენერგოგიგანტს "გული საკმარისად არ მოულბო", უკანასკნელი ინფორმაციით, "გაზპრომი" საქართველოსთვის მოსაწოდებელი გაზის საფასურის 60-დან 110 აშშ დოლარამდე გაძვირებით იმუქრება.*

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, "გაზპრომის" ხელმძღვანელობასა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების დროს რუსულმა ენერგოგიგანტმა ქართული მხარისგან გაზის დავალიანების გადახდის გრაფიკის დადგენა, "გაზპრომის" მიერ სომხეთისათვის გაზის მიწოდების ტარიფის განსაზღვრა და საქართველოს გაზის მეურნეობაში "გაზპრომისათვის" საინვესტიციო წინადადებების სასწრაფოდ მომზადება მოითხოვა. ცნობისათვის: ქართული მხარის დავალიანება "გაზპრომისადმი" 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტს შეადგენს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დავით მორჩილაძე შეეცადა, ჟურნალისტები დაერწმუნებინა, რომ "გაზპრომის" მიერ საქართველოსთვის 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივი აირის 60 აშშ დოლარიდან 110 აშშ დოლარამდე გაძვირება "კომერციული გადაწყვეტილებაა" და მას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს. **"პოლიტიკას გაზის ფასზე ზეგავლენა არ მოუხდენია, მაგრამ გაზი პოლიტიკაზე გავლენას ახდენს."** ამიტომ, იგი იმედოვნებს, რომ სომხეთისათვის გაზის მიწოდების ტარიფის განსაზღვრისას ქართული მხარე **"მოტივირებულ, კომერციულ ფასს განსაზღვრავს"** და **"სომხეთში გაზის ტრანზიტისათვის "გაზპრომს" პოლიტიკურ ფასს არ შესთავაზებს."**

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა საინვესტიციო წინადადებით შეიძლება მიმართოს ქართულმა მხარემ თავის ექსკლუზიურ თბომომმარაგებელს, ჯერჯერობით, არ კონკრეტდება. თუმცა, კარგა ხანია, ცნობილია, რომ "გაზპრომს" საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურიდან ყველაზე მეტად მაგისტრალური გაზსადენებით სარგებლობა აინტერესებს. სხვათა შორის, გუშინდელ პრესკონფერენციაზე მორჩილაძემ არ დამალა, რომ საქართველოში არსებული მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისათვის აშშ-ს მიერ საქართველოსთვის 44 მილიონი დოლარის გამოყოფა რუსული ენერგოგიგანტისთვის საკმაოდ გამაღიზიანებელი აღმოჩნდა. ამ ვითარებაში კი, "თბილგაზიდან" "გაზპრომის" ინფრასტრუქტურაში გადაბარგებულმა მორჩილაძემ იმედი გამოთქვა, რომ ქართული მხარე **"სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად "გაზპრომის" სპეციალისტებს მაინც მოიწვევს."**

თუმცა, როგორც მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, საუბარი იმის შესახებ, გაძვირდება თუ არა ბუნებრივი აირი, ან რა საფასურის გადახდა მოუწევს საქართველოს რუსეთიდან გაზის იმპორტირებისათვის, ნაადრევია. **"ინფორმაცია, რომ რუსეთიდან გაზის იმპორტისათვის საქართველო 1000 კუბურ მეტრში დაახლოებით 110 დოლარს გადაიხდის, რეალობას არ შეესაბამება. ამჟამად "გაზპრომთან" ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს. კონკრეტული გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, მიღებული არ არის,"** - დააკონკრეტა გილაურმა და იქვე დაადასტურა, რომ ქართულ მხარეს სურვილი აქვს, "გაზპრომთან" გრძელვადიანი - მინიმუმ, ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმოს.

# თურქი ბიზნესმენები ქართველ პარტნიორებს ეძებენ

პირველი გვერდიდან

### რამდენიმე წარმატებული თურქული ინვესტიციის მაგალითი

თურქული ბიზნესი საქართველოში საკმაო წარმატებით მუშაობს. ამის ერთ-ერთი მაგალითია "დელტა პეტროლიუმი" - თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანია, რომელიც ფოთის ტერმინალის - "ჩენელენერჯის" - აქციების 75 პროცენტის მფლობელიცაა. "დელტა პეტროლიუმი" საქართველოში 2000 წლიდან საქმიანობს. ფოთის ტერმინალის პროექტის საერთო ღირებულებამ 35 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, აქედან, 15 მილიონი აშშ დოლარი თურქული კომპანიის მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციაა.

"დელტა პეტროლიუმს" ნავთობის ბიზნესში 20-წლიანი გამოცდილება აქვს. თურქეთში ამ კომპანიას კერძო ნავთობტერმინალებს შორის უმსხვილესი "დორთიორის" ნავთობტერმინალი ეკუთვნის. "დელტა პეტროლიუმი" თურქეთში მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია "გალფოილის" ბენზინგასამართი სადგურების ქსელს ავითარებს. ამასთანავე, "დელტა პეტროლიუმი" აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების საფუძვლზე ერაყს თხევადი გაზით ამარაგებს.

კიდევ ერთი წარმატებული კომპანია, რომელიც საქართველოში თურქული ინვესტიციებით შეიქმნა, მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელია", რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირება 1997 წლის 15 მარტიდან დაიწყო. კომპანია 1996 წელს დაარსდა და ის პირველი GSM ოპერატორია საქართველოში. 2001 წლის 27 მარტს "ჯეოსელს" ასევე თურქული ინვესტიციებით შექმნილი GT მობილური შეერწყა, რისი შედეგადაც "ჯეოსელი" GT მობილურის მფლობელი გახდა.

სს "მინა" 1997 წელს დაარსდა მინის ტარის ქარხნის ბაზაზე და მისი მფლობელი გახდა თურქული კომპანია "შიშეჯამი" (SISECAM). მასთან ერთად სს "მინის" აქციონერები არიან EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და IFC (მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია). ქსნის მინის ტარის ქარხანა საქართველოში ერთადერთი, ხოლო სამხრეთ კავკასიაში უმსხვილესი, მინის მწარმოებელი კომპანიაა. სააქციო საზოგადოება "მინას" საქართველოს ბაზრის უდიდესი ნაწილი უკავია და, ამავე დროს, არის მინის ტარის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი აზერბაიჯანში. მინის ტარის პროდუქციით სტაბილურად მარაგდება 70-ზე მეტი მომხმარებელი, რომელთა შორის არიან უმსხვილესი კომპანიები: "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", "ყაზბეგი", "ბაგრატიონი 1882", "ბაქო-კასტელი", თითქმის ყველა, ღვინის მწარმოებელი წამყვანი კომპანია, როგორც საქართველოში, ასევე - აზერბაიჯანში.

### თურქეთი - საქართველოს N2 სავაჭრო პარტნიორი

დღეს თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია - სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, იგი მეორე ადგილზეა რუსეთის შემდეგ. ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობა ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ სტაბილურია და სავაჭრო ბრუნვის ცვლილებაც წლების მიხედვით დიდი არ არის.

თუმცა, უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისევე, როგორც სხვა მრავალ ქვეყანასთან, თურქეთთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს, ანუ გაცილებით მეტი პროდუქცია შემოაქვს და ნაკლები გააქვს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მიერ ექსპორტირებულ პროდუქციას შორის, ძირითადად, ჯართი (მათ შორის, ფერადი ლითონები), ხე-ტყე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავები, ელექტროენერგია და ნედლი ნავთობია, იმპორტირებულს შორის კი თურქული სამრეწველო პროდუქცია ჭარბობს, ცხადი ხდება, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის ათწლეულის განმავლობაში, თურქეთის ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანი პროდუქციით შეღწევა ვერ მოახერხა. პირიქით - საქართველო თურქული პროდუქციის ბაზრად იქცა, რომელმაც ხშირ შემთხვევაში ქართული ბაზრიდან ეროვნული პროდუქციაც კი განდევნა.

ამიტომ, საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე ცალსახად დადებით კონტექსტში საუბარი არ გვიხდება. თუმცა, მეორეს მხრივ, იაფი თურქული პროდუქცია, მიუხედავად მისი ხარისხისა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის ყველაზე უფრო პროდუქციადეფიციტურ წლებში გადარჩენის ერთადერთ წყაროდ იქცა.

### საქართველოს თურქეთის 54 მილიონი აშშ დოლარი ჰმართებს

თურქეთი პრველი სახელმწიფო იყო, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოს კრედიტი გამოუყო. 1993 წელს ანკარაში გაფორმებული ხელშეკრულებით საქართველოს მხარემ თურქეთის 41 მილიონდოლარიანი ვალი საკმაოდ მძიმე პირობებით აიღო.

კრედიტი მთლიანად განკუთვნილი იყო ქართველი იმპორტიორების მიერ თურქეთიდან საქონლის შემოტანის დასაფინანსებლად. შეთანხმების შესაბამისად, თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციის 50 პროცენტი ადგილობრივი წარმოების უნდა ყოფილიყო. კრედიტი რვა სუბიექტს შორის განაწილდა. აქედან, ყველაზე დიდი თანხა - 11 მილიონ 800 ათასი ამერიკული დოლარი პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ მიიღო, 8,5 მილიონი - მაშინდელმა ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ, 4.9 მილიონი - კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ, ზუსტად ამდენივე ერგო - შპს "კოკა-კოლა კავკასიონს" და სს "რუსთავცემენტს", ონდავ ნაკლები, 4 მილიონ 750 ათასი - სასმელი წყლის საწარმო "გევას". თითქმის 2,5 მილიონი დოლარი მისცეს შულავერის მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკას, 1 მილიონ 700 ათასი - სს "არაგვს". ამ დროისთვის ვალის ძირითადი ნაწილი არც ერთ კრედიტორს არ აქვს გასტუმრებული. მეტიც, რიგ შემთხვევაში, კრედიტორის დღეს არსებული დავალიანება თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ეს 12 წლის წინ იყო.

ეს კრედიტი ყველაზე "ავადმოსახსენიებელი" კრედიტია დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებულ კრედიტებს შორის.

რაც შეეხება თურქეთისადმი საქართველოს მთლიან დავალიანებას - ჩვენს ქვეყანას თურქეთის 54 მილიონი აშშ დოლარი მართებს.

### თურქი ბიზნესმენები ქართველ პარტნიორებს ეძებენ

თუმცა, გუშინ, ქართულ-თურქული ბიზნეს-ფორუმის მეორე დღეს, ქართული საქმიანი წრეების წარმომადგენლების ნაკლებობა იყო. თურქი პარტნიორებით მათი დაინტერესება, შეიძლება ითქვას, არ შედგა - არ შედგა სამუშაო დღისთვის გაწერილი შეხვედრების უმეტესობა. **"საქართველოსთან თანამშრომლობის დიდი სურვილის მიუხედავად, პარტნიორი ვერ ვიპოვეთ. მე უკვე მესამედ ვარ საქართველოში, ბევრი ახალი ობიექტი გაიხსნა, ვისთვისაც ჩვენი პროდუქცია აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ რატომღაც იტალიურს არჩევენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროდუქცია მას არაფრით ჩამოუვარდება, თანაც გაცილებით იაფია,"** - აღნიშნავს საფეიქრო, საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ობიექტების მოხმარების მანქანა-დანადგარების მწარმოებელი თურქული კომპანია "ათასოის" პრეზიდენტი რეჯეფ ათასოი. თხილის მწარმოებელი კომპანია "TFG"-ს ხელმძღვანელის შეფასებით, **"საქართველოს თხილის წარმოების საკუთარი რესურსი გააჩნია და, ალბათ, ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ კომპანია "TFG"-ს მიმართ ნაკლები ინტერესია. თუმცა, ჩვენ შეგვეძლო თანამშრომლობის მრავალნაირი ვარიანტი შეგვეთავაზებინა, თუნდაც, ერთობლივი საწარმოს შექმნა. სამწუხაროა, რომ პარტნიორი ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ."**

აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-ფორუმზე ისეთი თურქული კომპანიებიც იყვნენ წარმოდგენილნი, რომლებსაც საქართველოსთან თანამშრომლობის გამოცდილება გააჩნიათ და საკუთარი საწარმოებიც კი აქვთ. თურქული კომპანია "ალაფალა"-ს ქარხანა, რომელიც ფქვილსა და ხორბალს აწარმოებს, საქართველოში ჯერ კიდევ 1997 წლიდან მუშაობს და ყოველდღიურად 150 ტონა ხორბალს გადაამუშავებს. "ალაფალას" წარმომადგენლის მუზაფერ არსლანის თქმით, **"ხორბლის გადამუშავებისა და ფქვილის წარმოების სფეროში ქართული მხრიდან დაინტერესება არსებობს და სამომავლოდ არაერთი კონტრაქტის გაფორმებაა მოსალოდნელი."**

აღსანიშნავია ისიც, რომ საბოლოო ჯამში, ქართული საქმიანი წრეების დაინტერესება თურქული ბიზნესის მხოლოდ ერთეული სფეროთი შემოიფარგლა. მცირე და საშუალო ინვესტიციები, რომელმაც თავის დროზე მრავალი ქვეყნის, მათ შორის, თურქეთის ეკონომიკის განვითარებას შეუწყო ხელი, საქართველოსთვის ისევ მიუღებელი აღმოჩნდა.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

საჯარო შეთავაზება

2,000,000 ლარის ოდენობის
11% - იანი გამოთხოვადი
ობლიგაციები, დაფარვის ვადა
2007 წლის სექტემბერი
გამოშვების ფასი: 100%

განთავსების აგენტი

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
JSC GALT & TAGGART SECURITIES

2005 წლის სექტემბერი

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ბანკი
გიორგი ფარესიშვილი
აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვის სამსახურის უფროსი
ტელ: +995 32 44 41 32
ელ-ფოსტა: gparesishvili@bog.ge

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
ლექსო ლიპარტელიანი
საინვესტიციო საბანკო საქმიანობის ხელმძღვანელი
ტელ: +995 32 22 64 18
ელ-ფოსტა: lliparteliani@galtandtaggart.ge

## ნათლობა გალში

*წლევანდელი მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული დაუვიწყარი იქნება იმ ასოცდაათი გალელი ბავშვისთვის, რომლებიც იმ დღეს მოინათლნენ. საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით, კონფლიქტის ზონაში, მდინარე ენგურში ჩატარებული მასობრივი ნათლობის ორგანიზატორი იყო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველო.*



*ნათლობის დღე.*

ლელა მარგიანი

გალის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ბავშვებისთვის, ვინც ძალიან განიცდის მარტოობას და რომელთათვისაც მცირედ ყურადღებასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს დღე ამაღლებული და დაუვიწყარი იყო. სამწუხაროდ, ამჟამად გალის ტერიტორიაზე მხოლოდ ხურჩა-ნაბაკევის ტერიტორიაზეა თავად მოსახლეობის მიერ აშენებული მცირე სამლოცველო. ამ მიზეზთა გამო გალში იზრდება ახალგაზრდობა, რომლებიც ეკლესიაშიც კი არ ყოფილან. სწორედ ამიტომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა გალში მაცხოვრებელი მოზარდი-ახალგაზრდობის მასობრივი ნათლობის მოხდა. სამმართველომ მოახერხა გალის რაიონის სხვადასხვა სოფლებში მაცხოვრებელი ასოცდაათი ბავშვისა და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირება და მონათვლის ყველა მსურველის თავმოყრა სოფელ ხურჩაში, მდინარე ენგურის პირას, სადაც ზუგდიდ-ცაიშის ეპისკოპოსის, მეუფე გერასიმეს უშუალო ხელმძღვანელობით ორი საათის მანძილზე მიმდინარეობდა მდინარე ენგურში ბავშვების ნათლობა. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს ბავშვებთან ერთად ათი უფროსი ასაკის პიროვნებაც მოინათლა. ამავე დროს, გალელ ბავშვებთან ერთად მოინათლა მეორე აქციის, "მხიარული სტარტების" მონაწილე, თბილისის გუნდის წევრი, რომელმაც ნათლიად კულტურის მინისტრის მოადგილე ლადო ვარძელაშვილი აირჩია. სამაგიეროდ, გალელმა მოსწავლემ აფხაზეთის განათლების მინისტრის სალომე კაპანაძის ნათლულობა ისურვა და რა თქმა უნდა, მას ეს სურვილი უმალ შეუსრულდა.

ნათლობის შედეგ ყველა ბავშვს გადაეცა თბილისიდან ჩატანილი დიდი რაოდენობის საჩუქრები: საპატრიარქომ მათ უსახსოვრა ჯვრები, სანთლები, ხატები, ფსალმუნები, ლოცვანი; ხოლო განათლების სამინისტრომ, სოხუმის მერიამ და გალის გამგეობამ მათ გადასცეს სამი აუდიომაგნიტოფონი, ბურთები, სახატავი რვეულები, ფლომასტერები და ტკბილეული.

## კოდორის აქცია

*აფხაზეთის ახალგაზრდული სამმართველოს უფროსი არჩილ ჩხეიძე გულრიფშის რაიონიდანაა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ომის მთელი უბედურება, მათ შორის, კოდორის ხეობის ჯვარცმული გზა. ამიტომ მიაჩნია, რომ კოდორში მაცხოვრებლებს და იქ დაღუპულებს განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა სჭირდებათ. ამ მიზნით, გუშინ თბილისიდან კოდორში წარმომადგენლობითი დელეგაცია გაემგზავრა. სწორედ კოდორის აქციის შესახებ ვესაუბრეთ ბატონ არჩილ ჩხეიძეს, რომელსაც რამდენიმე კითხვით, ბუნებრივია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებაც მივმართეთ.*

ზაზა ფარუაშვილი

**არჩილ ჩხეიძე:** "კოდორის ხეობის ახალგაზრდები ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას მოწყვეტილნი არიან. ძალიან რთულ ვითარებაში ცხოვრობენ და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მათთვის კულტურული ღონისძიება მოგვეწყო. ყოველივე ეს კი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავს დავუკავშირეთ.

მოგეხსენებათ, რამდენად ტრაგიკული იყო ჩვენთვის 1993 წლის სექტემბრის თვე. ჩვენ გადმოვიარეთ ჭუბერის ულელტეხილი, ბევრი კი სამუდამოდ დარჩა იმ გაყინულ გზაზე. აქვე ვიტყვი, რომ მათი სულის საოხად კოდორში მივაბრძანებთ ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატს. პანაშვიდს გადავიხდით ნატაძრალის საძმო სასაფლაოზე, სადაც ჭუბერის გზაზე დაღუპული მრავალი ადამიანია დაკრძალული.

კოდორში მიგვყავს აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი "დიოსკურია", რომელიც კონცერტს გამართავს. დაგეგმილია სპორტული ღონისძიებები. შედგება სადისკუსიო ჯგუფი, სადაც კოდორელ ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ, გამოთქვან საკუთარი აზრი, წამოაყენონ წინადადებები და სათხოვარი ხელისუფლებისადმი.

ღონისძიებებს დაასრულებს შემოქმედებითი საღამო, რომელში მონაწილეობას ადგილობრივი შემსრულებლებიც მიიღებენ."

**- თქვენც ხომ არ გამოიარეთ ჭუბერის გზა?**

- კი, მეც გამოვიარე და საზარელი ფაქტების მომსწრეც გავხდი - როგორ გაეყინა 16 წლის გოგო მამას და როგორ უთხრიდა ის თავის შვილს შიშველი ხელებით საფლავს. ბევრი უბედურება მოხდა და ეს ყველაფერი კოდორელებმა ყველაზე მეტად განიცადეს. ამიტომ ვცდილობთ, ამ ხალხს ყურადღება მივაქციოთ ისე, როგორც შეგვიძლია.

**- ბატონო არჩილ, ყოველივე ამის შემდეგ რამდენად პერსპექტიულად გესახებათ ქართველებისა და აფხაზების შერიგება?**



*არჩილ ჩხეიძე გალელ ბავშვებთან ერთად.*

- ჩემი აზრით, მიუხედავად ყველაფრისა, შერიგების პროცესში ქართველი და აფხაზი ხალხი პრობლემას არ ქმნის. პრობლემას ქმნის სეპარატიზმი და მისი მხარდამჭერი ძალა ჩრდილოეთში. ჩვენ, ხალხი, ერთმანეთისთვის უცხოები არ ვართ. ჩვენ გვაკავშირებს ნათესაობა, ტრადიცია, კულტურა და ეს ურყევია. ჩვენ აუცილებლად შევრიგდებით და აფხაზეთშიც აუცილებლად დავბრუნდებით. ეს დროის საკითხია. მისი ხანგრძლივობა კი დამოკიდებულია პოლიტიკაზე. ერთი სიტყვით, თუ ჩვენი საერთო მტრის მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერები მოისპო, დღეს ისეთი ვითარებაა, რომ შერიგებას წინ ვერაფერი დაუდგება.

მე უშუალოდ მქონია შეხვედრები აფხაზ ხალხთან. ხშირად ჩავდივარ გალის რაიონშიც. ხალხი ამბობს, რომ ჩვენს დაახლოებას ხელს უშლის დიდი პოლიტიკა. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ თუ სახალხო დიპლომატიამ აფხაზურ მხარეშიც გასაქანი ჰპოვა, გაცილებით უკეთესი ვითარება შეიქმნება. ხალხს შორის პრობლემა არ იქნება.

**- თქვენ, ალბათ, მეგობრები და ნათესავებიც გყავთ აფხაზეთში.**

- მართალი ბრძანდებით, მეგობრებიც მყავს და ნათესავებიც. ამჟამად ვცდილობთ, აფხაზურ მხარესთან კავშირი დავამყაროთ და, აფხაზ ახალგაზრდობასთან ერთად, ღონისძიებები ჩავატაროთ. ვნახოთ, რისი საშუალება მოგვეცემა.

ოქტომბერში დაგეგმილი გვაქვს ახალი პროექტი, რომელიც ტაო-კლარჯეთში ფესტივალის სახის ერთობლივი ღონისძიების ჩატარებას ითვალისწინებს. ორგანიზებაში ადგილობრივი ლაზები გვეხმარებიან.

**- აქამდე თუ გქონიათ ერთობლივი ღონისძიება?**

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გადასული ვიყავი ბედიის მონასტერში. აფხაზები დაგვხვდნენ, მიგვიღეს, გაგვაცილეს, გვიმასპინძლეს. ბედიის ტაძარზე ფილმიც გადავიღეთ (მოგეხსენებათ, იქ არის საქართველოს პირველი გამაერთიანებლის, ბაგრატ მესამის საფლავი) და ეს ყველაფერი აფხაზებთან თანამშრომლობით მოვახერხეთ.

## კომენტარები

პატრიოტთა ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებზე სოხუმის ხელისუფლებას მწვავე რეაქცია ჰქონდა. პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ქართველები უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში საკუთარ სახლებში, რომ საზღვარი ფსოუზე და როკის გვირაბზე გადიოდეს.

თავდაცვის მინისტრის თქმით კი, იგი რამდენიმე დღეღამის განმავლობაში იმყოფებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ტყეებში.

აქვე გთავაზობთ კომენტარებსაც.

რაულ ხაჯინბა, ვიცე-პრეზიდენტი: **"თუ საქართველოს თავდაცვის მინისტრი მართლაც იმყოფებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეს იმის დამადასტურებელია, რომ ქართული უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ოფიციალური ხელისუფლების ძალას წარმოადგენენ... საქართველოს საზღვარი მთავრდება ენგურზე და არა ფსოუზე. შემდეგ სხვა სახელმწიფოა - აფხაზეთის რესპუბლიკა."**

სტანისლავ ლაკობა, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე: **"საქართველოს თავდაცვის მინისტრი, როგორც მის თანამდებობას შეეფერება, უპირატესობას სამხედრო ძალას ანიჭებს. რაც შეეხება მის ყოფნას აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეს, ალბათ, სამეგრელოს ტყეები იყო. აფხაზეთში საქართველოს პირველი პირების გადაადგილებას თვალყურს არ ადევნებენ."**

სულთან სოსნალიევი, თავდაცვის მინისტრი: **"ეს მორიგი სისულელე და პროვოკაციაა."**

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



*გაგრა, 1979 წელი, 19 მაისი. მე-2 საშუალო სკოლა (რუსული), მეათეკლასელები ესტაფეტას გადასცემენ პირველკლასელებს (დამრიგებელი სვეტლანა შატოხინა).*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს

თეიმურაზ მიბჩუანი
*პროფესორი*

აფხაზ ხალხს მთელ კავკასიაში ქართველებზე უფრო ახლო ნათესავი რომ არავინ ჰყავს, ეს აფხაზებმაც და ქართველებმაც კარგად იციან. სისხლით მონათესავე ქართველები რომ არა, აფხაზები, როგორც ეთნოსი, დღემდე ვერ მოაღწევდა. ამის ერთ-ერთ სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის ხელისუფლების წყალობით, აფხაზთა თურქეთში დეპორტაციის დროს ქართველი მოწინავე ინტელიგენციის თავგანწირული ბრძოლა აფხაზი ხალხის გადარჩენისათვის. ქართულმა ინტელიგენციამ ამას, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიაღწია. გადარჩენილთა შორის აღმოჩნდა აფხაზეთის მომავალი სახალხო პოეტი დიმიტრი გულია (1871-1960 წწ.). არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ როგორი, სიცოცხლის რისკის ფასად იცავდნენ აფხაზებს ქართული ინტელიგენციის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ლ. მჭედლიშვილი (კრაზა) და სხვა. აი, თუნდაც ერთი ცნობა XIX საუკუნის ქართული ქრონიკიდან: "ის, რომ დღეს გუდაუთაში ბევრი აფხაზი ცხოვრობს, ეს ბზიფის ოლქის უფროსის მაიორ დ. ჭავჭავაძის დამსახურებაა. მუჰაჯირობის დროს მან ათასობით მოტყუებული დააბრუნა უკან და არ გაუშვა თურქეთში, რისთვისაც ის სიკვდილით დასაჯეს." ყველაფერი ეს მეცნიერულადაა დასაბუთებული გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, პროფ. გ. ძიძარიას მიერ მუჰაჯირობისადმი მიძღვნილ საგანგებო მონოგრაფიაში. შემდგომშიაც ქართველი ხალხის და მისი საუკეთესო წარმომადგენლების ყურადღება აფხაზებს არასოდეს დაჰკლებიათ. რად ღირს, თუნდაც, საქართველოს უგვირგვინო მეფის, აკაკი წერეთლის, აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის, გიორგი შარვაშიძისა და გენერალ თათარხან დადეშქელიანის სანიმუშო მეგობრობის ისტორია, ჯანსაღი იუმორით შეზავებული.

ქუთაისში მყოფ უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩს "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების შექმნის დროს ტარიელისა და ავთანდილის პროტოტიპებად გ. შარვაშიძე და თ. დადეშქელიანი ჰყავდა.

აფხაზეთის სამთავრო 1864 წელს, კავკასიის მთავარმართებლის მ.ნ. რომანოვის წინადადებით გაუქმდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე 1864 წელს აფხაზეთის მთავრის ტახტიდან გადააყენეს და ვორონეჟში გაამწესეს, სადაც იგი 1865 წელს გარდაიცვალა. მ. შარვაშიძე დასაფლავებულია მოქვის მონასტერში.

აფხაზეთის რუსეთთან შეერთების (ანექსიის) შემდეგ იწყება რუსეთის რეაქციული წრეების ანტიქართული აგიტაცია, ქართველების სახით მტრის ხატის შექმნა, აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის მცდელობა, რაც დღემდე გრძელდება. ამ ბინძურ ანკესზე ზოგი აფხაზი წამოეგო, მათი წინაპრების უმეტესობა ყოველთვის ქართული ორიენტაციისა იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც 1870 წლის 20 მარტს წოდებრივ-საადგილმამულო საქმეების თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-ადიუტანტ თავად სვიატოპოლსკ მირსკის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერენ თავადაზნაურობის დეპუტატები ბ. ემხვარი, გ. მარშანია, ტ. მარღანია და კ. ინალიფა. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: "ოდითგან აფხაზეთი შეადგენდა ყოფილი საქართველოს სამეფოს ნაწილს... უძველესი ბიჭვინთის ტაძარი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იყო აფხაზი და ქართველი კათალიკოსების სატახტო ტაძარი. სრულიად ამ ბოლო დრომდე აფხაზეთში ყვაოდა დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოები. ბედიის ტაძარი, აგებული ბაგრატის - აფხაზთა დინასტიის პირველი ქართველი მეფის მიერ, საკუთარ თაღებს ქვეშ ინახავს თავისი ხელმწიფე-მშენებლის ნეშტს. მოქვის ტაძარი აგებულია ქართველთა და აფხაზთა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. აფხაზ და სამურზაყანოელ ხალხს უკანასკნელ დრომდე ჰქონდათ... სამეგრელოსა და იმერეთთან ერთი რელიგია, ერთი ზნე-ჩვეულებები, ერთი კანონები... ქართველი მეფეები არასდროს არ გამორიცხავდნენ აფხაზეთს დიდი ქართული ოჯახისაგან და როგორც სამეფოს გაყოფამდე, ისე მის შემდეგაც, თავიანთი არსებობის ამ უკანასკნელ დრომდე იწოდებოდნენ ქართველთა, აფხაზთა, იმერთა და კახთა მეფეებად. როცა ქართველთა მეფემ ვახტანგ VI-მ გასული საუკუნის დასაწყისში გადაწყვიტა კანონების გამოცემა, ყოფილი ქართული სამეფოს ყველა პროვინციიდან იხმო დეპუტატები ამ შრომაში მისთვის ხელშეწყობისათვის. მათ შორის იყვნენ დეპუტატები აფხაზი ხალხიდანაც, რომელიც უკანასკნელ დრომდე ინახავს უძველეს ქართულ წეს-ჩვეულებებს. აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილების არანაკლებ მნიშვნელოვანი დადასტურებაა, ქრისტიანული ტაძრების გარდა, სხვადასხვა საერო და სამხედრო ნაგებობათა ნანგრევები.

ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას, მიაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ როგორც უძველეს დროში, ისევე ახლაც საცხოვრებელი ნაგებობანი, ტანისამოსი, საკვები, სამიწათმოქმედო იარაღი, სოფლის მეურნეობის გაძღოლის ხერხები აფხაზეთში სავსებით იგივეა, რაც სამეგრელოში.

ადგილების უმეტესობა ატარებს ქართულ სახელწოდებებს. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ცნობს თავის მეგრულ ან ქართულ წარმომავლობას და შეინარჩუნეს თავიანთი ქართულ-მეგრული გვარებიც კი...

მთელ აფხაზ ხალხს სათავეში ედგა აფხაზეთის მბრძანებელი უძველესი ქართული მოდგმის გვარით - შარვაშიძე". დასასრულს, აფხაზთა დეპუტაცია იმედს გამოთქვამს, რომ აფხაზეთსა და სამურზაყანოში საგლეხო რეფორმის გატარებისას "ჩვენ არ ვიქნებით გამორიცხული ქართველი ხალხის საერთო ოჯახიდან, რომელსაც ოდითგანვე ვეკუთვნოდით" (სცსია, ფ. 416, აღ. 3, ს. 1020, ფ. 1-18; ჯ. გამახარია, ბ. გოგია, დასახელ. ნაშრომი., გვ. 336-339).

თითქმის ანალოგიურ მოთხოვნებს აყენებდნენ 1905 წელს სოხუმის ოლქის მცხოვრებლები (გაზ. "ცნობის ფურცელი", 1905, 19 ნოემბერი).

1925 წელს ნ. ლაკობა ამბობდა: "აფხაზეთში საკითხის დაყენება იმის შესახებ, რომ ის მართლაც დამოუკიდებელია და სადღაც უნდა წასვლა საქართველოსაგან, მიგვიყვანს იქამდე, რომ აფხაზეთი ცელქი ბავშვის ხელით აგებულ ხუხულასავით დაიშლება." (ნ. ა. ლაკობა, წერილები და სიტყვები, სოხუმი, 1987, გვ. 177).

ეს გაფრთხილება დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

ერთი წლის შემდეგ ნ. ლაკობა კვლავ ამბობს: "აფხაზეთი საქართველოსთან ერთად წავა, თუნდაც იმ ქვეყანაში" (გაზ. "სოვეტსკაია აფხაზია", 1926, 29 ივნისი).

დიმიტრი გულია დიდი ივანე ჯავახიშვილის ოჯახში თავს შინაურივით გრძნობდა. არაერთი ასეთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. ავიღოთ, თუნდაც, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი სერგეი შამბა - აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, არქეოლოგი. მანაც, მსგავსად არაერთი აფხაზისა, თბილისში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ქართველი კოლეგების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, რომელთა ოჯახებიც მას შვილივით უყურებდნენ. ვლ. არძინბას, როცა მოსკოვში გაუჭირდა დისერტაციის დაცვა, თბილისს მოაშურა და სადოქტორო დისერტაცია აქ დააცვევინეს. თბილისი საკუთარი შვილებივით გულში იხუტებდა აფხაზეთიდან სასწავლებლად ჩამოსულ ახალგაზრდებს...

დედა-სამშობლოს სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობდნენ ჭეშმარიტი აფხაზები.

1916 წლის 26 აპრილს თბილისს აფხაზეთის დეპუტაცია ეწვია, რომელიც მეფის ნაცვალს წარუდგა და აფხაზეთის სახელით სხვადასხვა მოთხოვნილება მოახსენა. დელეგაციის მეთაური იყო თავადი ალ. შარვაშიძე. როდესაც იგი კავკასიის მეფის ნაცვალს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა, მეფის ნაცვალმა მიაძახა: "Прибил абхазский князь". ალ. შარვაშიძემ უპასუხა: "Я не абхазский, а грузинский князь". ეს ის დროა, როცა რუსეთის მეფის ხელისუფლება ცდილობს, აფხაზები ქართველებს დაუპირისპიროს, ეროვნებად "აფხაზი" დაუმკვიდროს. მაგრამ ალ. შარვაშიძე (1855-1932 წწ.), რომელიც უაღრესად განათლებული იყო და საქართველოსადმი პატრიოტობის ეტალონად ითვლებოდა, ვერ ეგუებოდა რუსეთის მიერ საქართველოს გახლეჩის მცდელობას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შელახვას, ცარიზმის ფარისევლურ, წამქეზებლურ პოლიტიკას, სისხლხორცეული აფხაზების დანარჩენი ქართველებისაგან მოკვეთას. იგივე უნდა ითქვას აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, პოეტ გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის (1847-1918 წწ.) შესახებაც, რომელიც ამბობდა: "ტომით აფხაზი ვარ, ეროვნებით - ქართველი".

დეპუტაციაში შედიოდნენ თავადები - ალ. შარვაშიძე, დ. მარშანია, ასტამურ ინალიფა, გ. შარვაშიძე, პ. ანჩაბაძე, და გლეხები - ანტონ ჩუკბარი და ბ. ეზუგბაია. აფხაზური დელეგაციის ძირითადი მოთხოვნა იყო სკოლების გახსნა (სწავლება ქართულ და აფხაზურ ენებზე), სოხუმის ოლქი გამოყოფილიყო ცალკე გუბერნიად, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ მისი შეერთება მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისის გუბერნიასთან; სოხუმის ეპარქია, რადგან ის "მთელი თავისი წარსულითა და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საექსარხოსოდან," და სხვ. ამავე თხოვნით მიმართეს საქართველოს ექსარხოსს, არქიეპისკოპოს პლატონს და მეფის ნაცვლის თანაშემწეს თავად ორლოვს. დეპუტაციას ყველამ დახმარება აღუთქვა (იხ. "თეატრი და ცხოვრება", 1916, N4, გვ. 4. გაზ. "საქართველო", 1916, 28 აპრილი, გაზ. ძსახალხო ფურცელი", 1916, 3 მაისი).

ქართული საზოგადოებრიობა აფხაზთა ასეთ ნაბიჯს მიესალმა: "ახლახან, გაბედული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს შვენებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! - ასე იყო ძველად, ასე უნდა იყოს ახლაც...

სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს - ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათს პირველ ნაბიჯს"... ("თეატრი და ცხოვრება", 1916, N24, გვ. 15).

აღნიშნული დელეგაციის წარმომადგენლებმა, თავადებმა მელიტონ ემუხვარმა და პეტრე ანჩაბაძემ მაშინ, გაზ. "საქართველოში" გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც წერდნენ: "ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებულნი მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ, შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან" (იხ. მოძღვარი, 1989, 27 სექტემბერი). ეს დოკუმენტები ერთხელ კიდევ გვიდასტურებენ, თუ როგორ ისწრაფოდნენ ქართველები და აფხაზები, რომ მტკიცედ და ურყევად ერთად ყოფილიყვნენ.

აფხაზეთში, კერძოდ, წებელდაში აღმოჩენილია მთელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული წარწერა, რომელიც 327 წლით თარიღდება. აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე გამოვლენილია ასზე მეტი ძველი ქართული წარწერა, აქედან 70-მდე მარტო გუდაუთის რაიონზე მოდის.

აფხაზეთში გავიზარდე. აფხაზები მყავდნენ მეგობრები, მეზობლები, ახლობლები. ერთმანეთის ჭირისა და ლხინის მოზიარენი ვიყავით. რითაც შეგვეძლო, ერთმანეთს ვეხმარებოდით, ერთმანეთისათვის არაფერი დაგვიშავებია, პირნათელნი ვართ ერთმანეთთან და ამიტომაც გვენატრება ერთმანეთი.

ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით მე და ვლ. არძინბა, ძმებივით ვიყავით, სლავიკას ვეძახდი.

დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზებს ქართველებთან ჩატეხილი ხიდის აღდგენა სურთ. ამას ისინი ქართველების ნახვის დროს დიდი მოწადინეობით გამოხატავენ. ქართველები და აფხაზეთში მცხოვრები აფხაზები ერთმანეთთან შეხვედრებს დღესაც ახერხებენ. დღესაც, ჭირსა თუ ლხინში, ისინი ერთად არიან, როგორც ერთმოგვარეები, ნათესავები და მეგობრები.

როგორც ითქვა, ომის დროს აფხაზმა გაბუნიამ როცა შეიტყო, რომ მან მოწინააღმდეგე მხარეზე, მისი მოგვარე ქართველი გაბუნია მოკლა, ადგა და თავი მოიკლა.

ნუთუ არ ნიშნავს ეს იმას, რომ აფხაზი და ქართველი ერთმოგვარეები ერთმანეთის ჭირისუფლებად და დამცველებად რჩებიან. ქართული წარმოშობისა და გვარის მატარებლები კი აფხაზთა დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენს. ეს ის აფხაზებია, რომლებიც აფხაზეთის აბორიგენული და ავტოქტონური მოსახლეობაა, თუმცა არც ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულ ე.წ. აფსუებს ეუბნება ვინმე, რომ აფხაზეთი მათი სამშობლო არ არის. მით უმეტეს, რომ დღეს ისეთი აფხაზური ოჯახი თითქმის არ არსებობს, რომელსაც რაღაც ნათესაური ძაფები არ აკავშირებდეს ქართველებთან.

ომის დროს და შემდეგაც აფხაზები და ქართველები, შეძლებისდაგვარად, ერთმანეთს შველოდნენ, რასაც ბევრი შეეწირა კიდეც. მრავალთაგან რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ:

მთელი ომის განმავლობაში აფხაზურ ოჯახებს სოხუმში და სხვაგან იცავდნენ ქართველი შეიარაღებული ძალები, ქართველი მეზობლები, მათ შორის - კვიცინიების, ჭოლოკუების, მიქავების, ავიძბების, ოტირბების, თარბების და ა.შ. ზოგიერთი მათგანი ხელფასებსაც უნაკლოდ ღებულობდა;

აფხაზი კვიწინიების ოჯახს შეუვარდნენ ყაჩაღები (კუზნეცოვი და გაბრავა). სოხუმის "მხედრიონის" მებრძოლებმა დაიცვა კვიწინიების ოჯახის წევრები და სამშვიდობოს გაიყვანა;

მთელი ომის განმავლობაში დაცული იქნა სოხუმის მე-10 აფხაზური სკოლა;

მთელი ომის განმავლობაში ქართველი ვახტანგ ჩხოტუას ოჯახი მფარველობდა და ინახავდა აკად. გ. ძიძარიას შვილს გუდისა ძიძარიას;

ომის დროს ქართველებმა და აფხაზებმა ერთობლივად დაასაფლავეს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში აფხაზი მწერლის ივანე თარბას მეუღლე, საქართველოს დამსახურებული არტისტი ეთერ კოღონია;

ომის დროს ქართველებმა უპატრონეს და პატივით დაასაფლავეს აფხაზი სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ ბღაჟბა;

ქართველმა იგორ ჭედიამ გადაარჩინა გულრიფშელი აფხაზი მატარაძე. შემდგომ იური ჭედიას ესროლეს "ბაგრამიანი ბატალიონის" მებრძოლებმა;

გაგრელმა ვინმე შამბამ თავისი შვილი მოკლა იმის გამო, რომ ქართველთა ოჯახებს ძარცვავდა;

ოჩამჩირის გამგებელმა ხუტა გუგუჩიამ რამდენიმე ათეული აფხაზი ოჯახი გადაარჩინა და ნათესავებს ჩააბარა;

სოხუმის არქიტექტურის სამმართველოს უფროსი ნუგზარ დუდუჩავა სიკვდილს აფხაზებმა გადაარჩინეს;

სოხუმის მმაჩის თანამშრომელი გულნარა ჩაკაბერია აფხაზმა მეზობელმა დამალა თავის სახლში და შემდეგ სამშვიდობოს გამოიყვანა;

ქართველი ოთარ ბარათელი დახვრეტას გადაარჩინა და სამშვიდობოს გამოიყვანა აფხაზმა, ვინმე ავიძბამ;

ქართველი მამია ჯახუა (გზების სამმართველოს მუშაკი) აფხაზმა არკადი ქეცბამ გადაარჩინა დახვრეტას;

აფხაზმა ჯინჯოლიებმა გადაარჩინეს ქ. სოხუმში ჩარჩენილი ქართველი მწერალი ო. გაწერელია;

სოხუმის რაიონის სოფ. შრომაში ჟიულერ გადელიას ოჯახი აფხაზებმა გადაარჩინეს. 1995 წელს ჟ. გადელიას მამა ნიკოლოზი აფხაზებმა დაასაფლავეს, ხოლო მის ავადმყოფ მეუღლეს და ქალიშვილს დღემდე ინახავენ და სხვ.

ომის შემდეგ ბევრმა აფხაზმა პროტესტის ნიშნად დატოვა თავისი მშობლიური კუთხე და რუსეთში გადაიხვეწა, ნაწილმაც საქართველოს სხვადასხვა რაიონებს შეაფარა თავი, მათ შორის, თბილისს - 94-მა, ბათუმს - 11, გარდაბანს - 3, ზუგდიდს - 31, თეთრიწყაროს - 1, თიანეთის - 1, მარტვილს - 2, ოზურგეთს - 3, რუსთავს - 9, სენაკს - 13, ფოთს - 5, ქუთაისს - 18, წალენჯიხას - 6, ხობს - 6, აბაშას - 7, სამტრედიას - 1, სიღნაღის - 1, ცაგერის - 1, წყალტუბოს - 11, ბაღდათს - 1, ვანს - 1, ლეტეხს - 2, ყვარელს - 1, ჭიათურას -2, ხელვაჩაურს -7, ბორჯომს -3, კასპს - 1, ახალციხეს -1. ანუ, სადაც მათ ნათესავები ეგულებოდათ. ეს აფხაზი ეროვნების ლტოლვილები არიან გვარად ადლეიბები, ალანები, არგუნები, ამიჩბები, ბარციცები, გუმბები, ზუხბები, კაპბები, კიუტები, კურიკბები, ქეცბები, ავიძბები, კუტარბები, ძიაფშიპები, ხუტაბები, არშბები, დბარები, ივანბები, ლაფიშბები, თარბები, კაცბები, ბაზბები, ლეიბები, ტარკილები, აიმები, წვიშბები, აკიშბები, აძუმბები, წუშბები, აშუბები, ვოუბები, მიქანბები, ამპარები, ხაგბები, აჟიბები, ტუჟბები, ახუბები, ჩაჩბები, ტამბები, ახასალბები, ტრაფშები, ბაბადიშები და სხვ. არაფერს ვამბობთ ქართული გვარის მატარებელ აფხაზებზე. ქართველებთან ერთად ისინი დღე-დღეზე ელოდებიან მშობლიურ სახლ-კარში დაბრუნებას. აფხაზეთიდან წერილები წერილებზე მოდის თხოვნით - გვიშველეთ, გვიხსენით შექმნილი მდგომარეობიდან, დაგვიბრუნდით, ნუ დავკარგავთ ერთმანეთს და ა.შ. მაგრამ ყველაფერ ამას კონსპირატიულად აკეთებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სასტიკად უსწორდებიან.

დღეს ქართველთა და აფხაზთა დიდი ნაწილისაგან დაცარიელებული აფხაზეთი დაოსებულ ხეიბარს ჰგავს.

თავის დროზე, თითქოს წინასწარმეტყველურად ბრძანა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ:

"ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი
მოყმის გამზრდელო,
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი
უსაქართველოდ".

# უდიდესი სამიტი მსოფლიოს ისტორიაში

პირველი გვერდიდან

60 წლის წინ შექმნილი გაეროიანებული ერების ორგანიზაცია 21-ე საუკუნეში ვეღარ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, შეიძლება ისიც ითქვას, რომ იგი ინერციით განაგრძობს არსებობას - უკვე დიდი ხანია, საერთაშორისო მშვიდობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ერთადერთმა ზესახელმწიფომ - აშშ-მ იტვირთა.

**"ჩვენ შორის ყველაზე ძლიერიც კი ვერ მიაღწევს წარმატებას მარტო, დახმარების გარეშე,"** - განაცხადა კოფი ანანმა შეხვედრის გახსნისას. გენერალური მდივნის თქმით, რაც არ უნდა დიდი განსხვავება იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის, "ისინი მაინც ერთად დგანან ან ერთად ეცემიან".

უნივერსალური ორგანიზაციის სამიტი გენერალური ასამბლეის, ბუნებრივია, რიგითი მოვლენა ვერ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მრგვალი თარიღის თაობაზე გაერო-ს მესვეურებმა უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარება დაგეგმეს.

ორგანიზაციის დაარსებიდან სამოცი წლის შემდეგ მსოფლიოს ლიდერების შეკრების მიზანი იყო, რომ გაეროს მუშაობის გაუმჯობესების გზები დაესახა. მართლაც, დღემდე ამდენ სახელმწიფოს მეთაურს არასოდეს მოუყრია ერთად თავი. 14-16 სექტემბერს ნიუ-იორკში დაახლოებით 170 პრეზიდენტი, მონარქი და მთავრობის მეთაური შეიკრიბა.

რასაკვირველია, უდიდეს სამიტს წინ უძღოდა ურთულესი მოლაპარაკებები. სამიტის გახსნამდე სულ რამდენიმე საათი იყო დარჩენილი და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული შეთანხმება. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყველა ის პუნქტი, რომლებზეც კომპრომისი ვერ იქნა მიღწეული, დასკვნითი დოკუმენტიდან ამოეღოთ.

ამგვარად, სამიტის ბოლო დღეს დაგეგმილ ხელმოსაწერ დეკლარაციაში ტერორიზმის, სიღარიბის, ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის, ისევე როგორც ერთ-ერთი უმთავრესი - გაერო-ს სტრუქტურული რეფორმირების საკითხები აისახება. მაგრამ ეს პუნქტები ისეთ ზოგად ფორმულირებებშია ჩაწერილი, რომ დოკუმენტიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს მსოფლიო თანამეგობრობა ამ მიმართულებით.

გენერალური მდივნის განცხადებით, სამიტზე მიღებული დოკუმენტი კომპრომისის შედეგია. **"ჩვენ აშკარად ვერ მივაღწიეთ ყველაფერს, რაც გვსურდა. ძალიან რთული იყო შეთანხმების მიღწევა, რომელიც 191 ქვეყანას დააკმაყოფილებს,"** - განაცხადა კოფი ანანმა ჯერ კიდევ სამიტის გახსნამდე გამართულ პრესკონფერენციაზე.

ასე რომ, 35-გვერდიან ფინალურ დოკუმენტში მხოლოდ სიღარიბესთან ბრძოლისა და გაერო-ს მეტ-ნაკლებად სერიოზული რეფორმირების საკითხები აისახა სრულად. მასში, ბუნებრივია, საუბარია 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი საფრთხის - ტერორიზმთან ბრძოლის გამკაცრების შესახებაც, მაგრამ რუსეთის მოთხოვნის მიუხედავად, გაერო-ს ასამბლეაზე ვერ იქნება მიღწეული თავად ტერორიზმის დეფინიციის შესახებ შეთანხმება. ასევე, ფინალურ დოკუმენტში საერთოდ ნახსენები არ არის შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

სხვათა შორის, როგორც რუსული ანალიტიკური სააგენტო "გაზეტა.რუ" ირწმუნება, რეზოლუციის შეთანხმების პროცესს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ დოკუმენტი განსახილველად მანამდე გაიტანეს, სანამ იგი გაერო-ს დანარჩენ ხუთ ოფიციალურ ენაზე (რუსულ, ფრანგულ, ჩინურ, არაბულ და ესპანურ) ითარგმნებოდა. მათი თქმით, ეს გაერო-ს პროტოკოლის უხეში დარღვევაა და, შედეგად, სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატებმა ვერ შეძლეს "სრულად და ეფექტურად დოკუმენტის შესწავლა."

ხოლო რაც შეეხება ორგანიზაციის რეფორმირებას, გენერალური ასამბლეის სესიის გახსნისას კოფი ანანმა აღიარა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმაზე შეთანხმებას ვერ მიაღწია. **"უშიშროების საბჭოს რეფორმა ჯერჯერობით ხელიდან გვისხლტება, თუმცა, ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ ის (რეფორმა) დიდი ხანია მომწიფდა,"** - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა. შეგახსენებთ, დღეისათვის განიხილება უშიშროების საბჭოს რეფორმირების ორი მოდელი: პირველის თანახმად, საბჭოს წევრთა რიცხვი 15-დან 24-მდე უნდა გაიზარდოს, სადაც დღეისთვის არსებულ 5 მუდმივ წევრს ვეტოს უფლების მქონე კიდევ 6 წევრი უნდა დაემატოს. მეორე მოდელის მიხედვით, უშიშროების საბჭო უნდა გადაიქცეს სამდონიან ორგანოდ (ანუ მის წევრებს სამი სხვადასხვა ხარისხის უფლება ექნებათ). ყველაზე დიდი უფლებები ექნებათ დღევანდელ მუდმივ წევრებს (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი). მათ გარდა, საბჭოში შევა 7-8 "ნახევრადმუდმივი" წევრი, რომელთაც ხუთი წლის ვადით, ხელმეორედ არჩევის უფლებით აირჩევს ასამბლეა. ხოლო დანარჩენი წევრები გეოგრაფიული პროპორციის პრინციპით, ჩვეულებრივად, ორი წლის ვადით აირჩევიან.

## ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა - ნომერ პირველი ამოცანა

**"ტერორისტებმა უნდა იცოდნენ, რომ სადაც არ უნდა წავიდნენ, მართლმსაჯულებას ვერ გაექცევიან,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და აღნიშნა, რომ აუცილებელია, უმოკლეს ვადაში დასრულდეს ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციის შემუშავება.

ამავდროულად, პრეზიდენტმა ბუშმა ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებაც დააფიქსირა: **"ვიცით, რომ ამ ომის მოგება მხოლოდ ძალით შეუძლებელია, ტერორისტთა დამარცხება საჭიროა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ იდეათა ჭიდილშიც. ჩვენ მოგვიწევს პირობების შეცვლა, რომელიც ტერორიზმის აყვავებასა და მის რიგებში ახალი მომხრეების მიღებას უწყობს ხელს,"** - აცხადებს ბუში.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მსოფლიოს ლიდერები გუშინ კონფლიქტების დარეგულირებას ასახელებდნენ. მართალია, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც უმაღლესი პირები იყვნენ წარმოდგენილნი, კონკრეტულად რომელიმე ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე არ უსაუბრიათ (სხდომაზე განსაკუთრებული აქცენტი აფრიკაში არსებულ კონფლიქტებზე იყო გამახვილებული), მაგრამ რეზოლუცია, უდავოდ, მნიშვნელოვანი იყო. უშიშროების საბჭოს ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების შესახებ ნათქვამია, რომ აუცილებელია ფართო სტრატეგიის შემუშავება, რომელიც, კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, კომპლექსური ღონისძიებების გატარებას დაეფუძნება - იგულისხმება როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა, ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დემოკრატიის განვითარება და ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეზოლუცია, რომელიც გუშინ უშიშროების საბჭომ მიიღო, ტერორისტული აქტების ჩადენისკენ წაქეზებას ეხებოდა. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას გაერო-ს წევრი-სახელმწიფოების მისამართით - **"ტერორისტული აქტების ჩადენისკენ წაქეზება კანონმდებლობით აიკრძალოს".**

## იმედგაცრუების სამიტი - რა საჭიროა გაერო?

მართალია, სამიტი მხოლოდ გუშინ დაიწყო და მსოფლიოს ლიდერებს კიდევ ორი დღე აქვთ მნიშვნელოვანი შეთანხმებების მისაღწევად, მაგრამ ძალიან ბევრი მიმომხილველი, ისევე როგორც გაერო-ს პირველი პირი, უკვე გუშინ აცხადებდა, რომ იგი შეიძლება დროის ფუჭად კარგვა გამოდგეს.

ფრანგული გაზეთი "ლიბერასიონი" წერდა, რომ აშშ-მ, ფაქტობრივად, დაასამარა გაერო-ს გარდაქმნისა და უწინდელი როლის დამკვიდრების ინიციატივა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გაერო, შექმნიდან დღემდე, მისსავე ქარტიაში აღნიშნულ მოვალეობებს თითქმის ვერასოდეს ასრულებდა. მეოცე საუკუნეში მის უმთავრეს ფუნქციად ორპოლუსიანი სამყაროს შენარჩუნება იყო. დღეს, როცა ცივი ომი დასრულებულია, ეს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი, პირველ რიგში, მის უმთავრეს დონორს - აშშ-ს აღარ აძლევს ხელს, მით უმეტეს, რომ გაერო-სთან ბოლო დროს მხოლოდ სკანდალები ასოცირდება.

საგულისხმო იყო სამიტის დასაწყისში გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენლის ჯონ ბოლტონის სიტყვები: **"არასწორი იქნება რეფორმებისაგან ასეთი არარეალისტური მოლოდინი... ისინი (რეფორმები) წარმოადგენენ წინგადადგმულ ნაბიჯს, და არანაირად არ ასახავენ ალფას და ომეგას... ჩვენ არასოდეს გვიფიქრია ასე."** ამერიკელი დიპლომატის თქმით, აშშ კმაყოფილია მოსალოდნელი შედეგით - იგი ხომ იმ შეზღუდულ იმედებს პასუხობს, რომელიც თეთრ სახლს ჰქონდა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამიტზე სიტყვით დღეს გამოვა და გააჟღერებს საქართველოს პოზიციას, რომლის შესახებაც პრეზიდენტის გამოსვლამდე საქართველოს მხრიდან კომენტარს არავინ აკეთებდა.

# აუშენებელი აეროპორტის ქრონიკები

პირველი გვერდიდან

ექსპერტები მთავრობას მიკერძოებასა და ტენდერის დაბალპროფესიულ დონეზე ჩატარებაში, რიგ შემთხვევაში კი - კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ.

მაგალითად, ექსპერტი დემურ გიორხელიძე უკმაყოფილოა, რომ აეროპორტის ასაშენებლად მსოფლიოში ცნობილი, ღირსეული ფირმა ვერ მოიძებნა. **"ეს სამთავრობო სტრუქტურებს, რომლებიც საქმეს თავს ვერ აბამენ, დიდ ჩრდილს აყენებს. არ მგონია, რომ აეროპორტის ტენდერის შემთხვევაში უფულო კომპანიებთან გვქონოდა ურთიერთობა. აქ, მგონი, პრობლემა ფინანსებში არ არის. "ჩელების" შემთხვევაში, ტენდერის ჩაშლის დროს ინტერესთა შეჯახება უფრო ჩანს, ვიდრე რაიმე რეალური პრობლემა ინვესტორების მხრიდან. ამასთან, მთავრობა დიდ შეცდომას უშვებს, როცა აქცენტს, რაც შეიძლება დიდ ერთჯერად ფულის ნაკადებზე აკეთებს. ეს არის სტრატეგიული შეცდომა, რადგან მთელ მსოფლიოში პრივატიზაციის მიზანი არა ბევრი ფულის მიღება, არამედ ეფექტური მფლობელის გაჩენაა. რამდენი ერთჯერადი ფულიც არ უნდა შემოვიდეს ქვეყანაში, ამით ვერანაირ პრობლემებს ვერ გადავჭრით. ამით მივიღებთ ისევ არაეფექტურ მფლობელებს და სახელმწიფო ქონების გარკვეული ინტერესებით გადანაწილებას,"** - აცხადებს ექსპერტი.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი კი აცხადებს: **"მე არანაირი მაკეტი არ მინახავს. მე მხოლოდ "ტავთან" და "ურბანთან" დადებული ხელშეკრულება მაქვს. როცა ჩვენმა კომიტეტმა დასკვნა დაწერა, პირველ ტენდერთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნები გამოვთქვით და განვაცხადეთ, რომ ის ტენდერი ძალიან ცუდად ჩატარდა. მიმაჩნია, რომ "ჩელებთან" ტენდერის ჩაშლის შემდეგ ახალი ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო. საქმე ის არის, რომ "ტავი" თავიდანვე კი მონაწილეობდა ტენდერში, მაგრამ "ურბანი" არ იყო ტენდერის მოთამაშე. მე თავიდანვე ვურჩიე ეკონომიკის მინისტრს, რომ სამი მონაწილე კომპანიიდან საუკეთესო "ტავი" იყო, თუმცა ტენდერი მაინც მოიგო "ჩელებმა". შემდეგ შეთანხმება ჩაიშალა. ამჯერად, აეროპორტის აშენების უფლება "ტავს" კი მიანდეს, მაგრამ ასეთი პირდაპირი მიცემა, ჩემი აზრით, სწორი არ იყო. მახსოვს, ტენდერი უკვე დასრულებული იყო, როცა უძლიერესი ჰოლანდიური კომპანია დაგვიკავშირდა და ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. თუმცა, უკვე გვიანი იყო. ტენდერის ჩაშლის შემდეგ მთავრობას თავიდან უნდა გამოეცხადებინა ტენდერი და იქნებ, თბილისის აეროპორტის აშენებით უკეთესი კომპანიები დაინტერესებულიყვნენ.**

**რაც შეეხება "ჩელების" საჩივარს. ისინი ამბობენ, რომ მათ ტენდერში აეროპორტის შესახებ მოწოდებული სულ სხვა მონაცემებით გაიმარჯვეს, მაშინ, როცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მონაცემები სულ სხვა ყოფილაო. როგორც ისინი ამბობენ, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი მათ აქვთ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტენდერი ცუდად ჩატარდა."**

სამაგიეროდ, ტენდერის მიმართ პრეტენზიები არა აქვს პარლამენტარ შოთა გვენეტაძეს. **მისი თქმით, "ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც "ჩელებთან" მოლაპარაკება ჩაიშალა, მთავრობა იმ კომპანიას მიუბრუნდა, რომელსაც უკეთესი პირობები ჰქონდა. ამ მხრივ მე არანაირი შენიშვნები არ მაქვს. უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, რომ მაისამდე აეროპორტი ვერ აშენდება. თუმცა, არც ეს არის საგანგაშო ფაქტი. როგორც მოვისმინე, მაკეტი არ არსებობს, ამას აცხადებდა ერთ-ერთი ქართული კომპანია, რომელიც თავიდან "ტავთან" და "ურბანთან" ერთად გამოდიოდა. თუმცა, მაკეტის არარსებობა არ ნიშნავს პროექტის არარსებობას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია."**

## ინტერვიუ მინისტრთან

ამ ფონზე, მთავრობამ "ტავი"-"ურბანის" კონსორციუმთან შეთანხმება უკვე გააფორმა. შეთანხმების დეტალების დაზუსტებისა და, საერთოდ, პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ უფრო დაზუსტებული ინფორმაციის მისაღებად, "24 საათმა" ეკონომიკის მინისტრს მიმართა. გთავაზობთ ინტერვიუს ირაკლი ჩოგოვაძესთან.

**- რას წარმოადგენენ აეროპორტის ტენდერში გამარჯვებული კომპანიები "ტავი" და "ურბანი"? რომელი აეროპორტებია მათ "ანგარიშზე"?**

- მე მოვისმინე გარკვეული არაკომპეტენტური განცხადებები, რომლის თანახმადაც "ტავი" პატარა კომპანიაა. თურქეთის ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, წელს ამ კომპანიამ თურქეთის ბიუჯეტში ორ მილიარდ დოლარზე მეტი შეიტანა. ეს არის კომპანია, რომელმაც დააფინანსა და ააშენა სტამბულის ათა-თურქის აეროპორტი, ანკარის აეროპორტი, იზმირის და კაიროს აეროპორტები. კერძოდ, "ტავი" არის ორი ბევრად უფრო დიდი კომპანიის - "ტეპე"-სა და "არქფემი"-ს ერთობლივი კონსორციუმი. ეს ამ სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანიაა. ასევე, "ურბანიც" ერთ-ერთი სოლიდური კომპანიაა, რომელიც სერიოზულ მშენებლობებს ახორციელებს. ერთი სიტყვით, ამ პროექტს არაფერი ემუქრება.

**- თუმცა, კულუარებში უკვე ალაპარაკდნენ, რომ "ტავისა" და "ურბანის" კონსორციუმთან შეთანხმებაც ჩაშლის პირასაა...**

- ეს არის არაკეთილსინდისიერი და უპატიოსნო განცხადებები, რაშიც "შავი პიარის" ელემენტები ჩანს. თბილისის აეროპორტის მშენებლობას არათუ არაფერი ემუქრება, არამედ ყველაფერი გეგმის მიხედვით ვითარდება. ექვს სექტემბერს "ტავთან" და "ურბანთან" ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 12 სექტემბერს შევიდა. სამ სექტემბრამდე ჩვენ უკვე გვქონდა 6,2 მილიონი დოლარის საბანკო გარანტია.

**- ხომ ვერ გვაჩვენებდით აეროპორტის პროექტს?**

- დღეს ვერა. ხვალ (ანუ, უკვე დღეს - დ.ჩ.) ჩვენ ამ პროექტის პრეზენტაცია გვექნება. პროექტი, რა თქმა უნდა, არსებობდა (პროექტის მასალები მინისტრს გუშინ მაგიდაზე ედო - დ.ჩ.). პრეზენტაციის დრო იმიტომ გაჭიანურდა, რომ აქამდე არ გვქონდა ვიდეომასალა.

**- რაც შეეხება კომპანია "ჩელების" საჩივარს?**

- მათთან ჩვენ გვქონდა ხელმოწერილი კონტრაქტი, რომელიც ძალაში მხოლოდ მას შემდეგ უნდა შესულიყო, რაც კომპანია ფინანსურ გარანტიას წარმოადგენდა, ეს კი მათ ვერ შეძლეს. "ჩელების" წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი მზად იყვნენ, ფული ეშოვათ, მაგრამ ჩვენ მათ გარანტიის წარმოდგენის საბოლოო თარიღად ორი სექტემბერი დავუთქვით, მათ კი ამ ვადაში გარანტია არ წარმოადგინეს.

**- ხმაურია ფოთის პორტის ირგვლივაც: ჯერ ტენდერის შედეგები არ გამოცხადებულა, B&P კი უკვე მოლოცვებს იღებს...**

- სატენდერო კომისიამ ფოთის პორტის ხელმძღვანელობას მისცა რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულება გააფორმოს ფინანსურად ყველაზე მომგებიანი წინადადების მქონე კომპანია B&P-თან, რომელიც 64 ათასი დოლარით მეტს იხდის, ვიდრე მეორე ადგილზე გასული კომპანია. რაც შეეხება "ცენტრ-ინვესტს", მათი განაცხადი დაახლოებით 2,7 მილიონი დოლარის გადახდას ითვალისწინებდა. B&P-ს განცხადებაში კი იდო პირობა, რომ კომპანია შემოთავაზებულ წინადადებებს შორის ყველაზე მაღალ ფასზე 64 ათასი დოლარით მეტს გადაიხდის.

**- კანონიერია თუ არა, რომ სატენდერო კომისიამ ასეთი, ერთი შეხედვით, საკმაოდ საკამათო ფორმულირება მიიღო და განიხილა?**

- ყოველ შემთხვევაში, კანონით ეს აკრძალული არ არის. ორი კვირის წინ ჩვენ იუსტიციის სამინისტროს ახალი კონკურსის დებულებით მივმართეთ, რომელშიც მსგავსი წინადადებები აკრძალული იქნება. რატომ? ასეთი წინადადებებით მოქმედება ყოველთვის რომ შეგვეძლოს, ამაზე კარგი არაფერი იქნებოდა. შემოვიდოდა, ორი წინადადება, საიდანაც ერთი იტყვის, რომ ვიხდი იმდენს, რამდენსაც იხდის ყველაზე დიდი გადამხდელი პლუს, ვთქვათ, ასი ათასი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ყოველთვის მოგებული ვიქნებით, მაგრამ ეს შეიძლება გააკეთო ერთხელ ან ორჯერ. შემდეგ სხვა კომპანიებიც მიხვდებიან და ყველა ამ წინადადებით შემოვა. აქამდე ეს წინადადება არც აკრძალული იყო და არც ნებადართული. ამიტომაც, ფოთის პორტის ნავმისადგომების ტენდერში კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. 25 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გადახდილი თანხა მილიონ 600 ათას დოლარზე მეტს მიაღწევს, შესაბამისად, კომისიას ასეთ სოლიდურ თანხაზე უარის თქმა გაუჭირდა. ეს ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია. თუმცა, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეკონომიკური აგენტები გულუბრყვილოები არიან და ყოველთვის იქნება ოთხი წინადადება, რომელიც კონკრეტულ ფასს დააფიქსირებს და მხოლოდ ერთი, რომელიც იტყვის, რომ იხდის ყველაზე მაღალ თანხას დამატებული ასი, ან ორასი ათასს. როგორც კი ერთდროულად ორი კომპანია მიხვდება, რომ ამის გაკეთება დასაშვებია, მაშინ ეს უსასრულობისკენ წაგვიყვანს.

**- თუმცა, აღნიშნული შესწორება ფოთის პორტის ნავმისადგომების ტენდერს აღარ შეეხება?**

- დიახ, ეს არ შეეხება ფოთის პორტის მეცხრე და მეათე ნავმისადგომების ტენდერს. ჩემთვის, რა თქმა უნდა, მთავარია, აქტივები ყველაზე მაღალ ფასად გაიყიდოს. მას შემდეგ, რაც მინისტრი გავხდი, დავიწყე მუშაობა იმაზე, რომ ასეთი ტიპის წინადადებებით შემოსვლის უფლება აღარავის ჰქონდეს.

**- ანუ, B&P ჯერ არ არის გამარჯვებული?**

- თუ B&P არ არის მზად, თანხა გადაიხადოს, მაშინ ის დაჯარიმდება და 300 ათასს დაკარგავს, მოლაპარაკებები კი, თავისთავად, შემდეგ კომპანიასთან გაგრძელდება.

**- პორტების გარდა, მთავრობა კიდევ სხვა ობიექტების შენარჩუნებას თუ აპირებს, მისი იჯარით გადაცემის ფორმით?**

- პორტები ცალკე თემაა. იჯარით გადაცემა მხოლოდ პორტებს ეხება.

**- ეკონომიკის სამინისტრო გაყიდულ ობიექტებში მონიტორინგს თუ ატარებს?**

- დიახ, ჩვენ ვატარებთ მონიტორინგს ყოველ ექვს თვეში, ან წელიწადში ერთხელ - ობიექტს გააჩნია. საოკეანო სანაოსნოს შემთხვევაში, ჯერ ეს ვადა არ გასულა, თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომ მათ დამატებით ქართველი მეზღვაურები დაასაქმეს და ახალი გემები შეიძინეს.

**- რაც შეეხება "ჭიათურმანგანუმს", "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას", "აზოტს" და "მადნეულს" - მათ რა ბედი ეწევა?**

"ჭიათურმანგანუმს" მართავს გაკოტრების მმართველი, რომელიც აქტივებს გასაყიდად ამზადებს. როგორც კი სერიოზული დაინტერესებული კომპანია გამოჩნდება, ასეთები კი უკვე არიან, "ჭიათურმანგანუმის" პრობლემაც გადაიჭრება.

"აზოტშიც" იგივე ვითარებაა. იქ, ჩვენი ინფორმაციით, აქტივების რეალიზაცია მოხდა და შევიდა სერიოზული კომპანია "ენერჯი ინვესტი", რომელსაც საკმაოდ საინტერესო გეგმები აქვს.

"რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასაც" გაკოტრების მმართველი ყიდის. ქარხანა გასაყიდად სამ ნაწილადაა წარდგენილი. ერთის სასტარტო ღირებულება 20 მილიონი დოლარია, მეორის - მილიონი, მესამის კი - ხუთასი ათასი დოლარი. სავარაუდოდ, პროცესი შვიდ ოქტომბერს დასრულდება. ქარხანაზე ღია აუქციონი გამოცხადდება და მას ის შეიძენს, ვინც მეტს გადაიხდის.

"მადნეულზე" ერთ ეტაპიანი კონკურსი გაიმართება. წინასწარ გადასახდელი იქნება ე.წ. ბე - 3-3,5 მილიონ დოლარამდე. კონკურსი მომავალ კვირას გამოცხადდება და სასტარტო ფასი არანაკლებ 30 მილონი დოლარი იქნება. ახლა ჩვენ უკვე კონკურსებში დამატებით პირობად ვსვამთ, რომ არავის აქვს უფლება, B&P-ს მსგავსად, უმაღლეს საფასურს პლუს რაღაც თანხა შემოგვთავაზოს. ეს იმიტომ არ შეეხო ფოთის პორტის ტენდერს, რომ მისი პირობები ორი თვის წინ იყო გამოცხადებული.

**- ხომ არ აჩვენა მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესმა, რომ გაყიდვების წესში კიდევ რაიმე ცვლილებებია შესატანი?**

- ჩვენ პირობითი აუქციონების მოწყობას ვაპირებთ. კონკურსი მაინც კონვერტებთან, მათ გახსნასთან, ინფორმაციის დახურვასთან და ეჭვებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ჩვენ გვინდა ერთგვარი ჰიბრიდი შევქმნათ ე.წ. პირობითი აუქციონის სახით.

P.S. ინტერვიუ უკვე მზად იყო, როდესაც ირაკლი ჩოგოვაძემ თურქეთის სახელმწიფო მინისტრ ქურშად თუზმენთან ხელი მოაწერა საქართველო-თურქეთის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის ოქმს, რომლის მიხედვითაც, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა პრიორიტეტები განისაზღვრა. ოქმის მიხედვით, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა პრიორიტეტებად საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება თურქეთსა და საქართველოში და სასაზღვრო-სავაჭრო ცენტრების შექმნის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაა მიჩნეული. პრიორიტეტად განისაზღვრა, ასევე, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის ამოქმედება და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. როგორც ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა ქურშად თუზმენმა განაცხადა, უახლოეს ხანებში დაიწყება მოლაპარაკებები თურქეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მომზადების თაობაზე. ქურშად თუზმენმა იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში მთლიანად შავი ზღვის რეგიონი თავისუფალ სავაჭრო ეკონომიკურ ზონად გადაიქცევა.


ჯეოსელი GEOCELL

**ჯეოსელის აბონენტთა საყურადღებოდ!**

კომპანია ჯეოსელი შეგახსენებთ, რომ საზაფხულო აქციის პერიოდში (14.06.05. - 12.08.05.) შეძენილ ნომრებზე ჩატვირთული ბონუსების (5 ლარის სასაუბრო დრო, 5 უფასო ჯავა თამაში, 15 უფასო წუთი ჯეოსელზე და ლაილაიზე, 25 უფასო MMS, 125 უფასო SMS) გამოყენება შესაძლებელია იმ სიმ-ბარათებზე, რომლებიც გააქტიურდება 22 სექტემბრამდე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ შემდეგ ნომრებზე:**
**822 770177**
**928 (მხოლოდ მობილურიდან)**


# განცხადება

ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური მის: მიცკევიჩის 29-ა, აცხადებს ღია ტენდერს შემდეგი აპარატურის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს

1. ამპლიპულსოთერაპიის აპარატი;
2. ფლუქტუორიზაციის, ამპლიპულსოთერაპიის, იმპულსური ელექტროსტიმულაციის, სინუსოიდალური, დიანინამოთერაპიი; მოკლეიმპულსური ელექტროანალგეზაციის აპარატი;
3. ვოლიი - 2.1 (ფიზიოთერაპიის აპარატი)
4. დიადინამიური დენებით მკურნალობის ფიზიოთერაპიული აპარატი;
5. ადგილობრივი ზემოქმედების მაღალსიხშირული დენით (სხვადასხვა ინტენსივობით) ფიზიოთერაპიული აპარატი;
6. მოკლეტალღოვანი სიხშირის ფიზიოთერაპიული აპარატი;
7. მაგნიტორეზონანსული თერაპიული აპარატი;
8. გალვანიზაციის და ელექტროფორეზის მეთოდით მუდმივი დენით სამკურნალო ფიზიოთერაპიული აპარატი;
9. სიმპატოკორ - ფიზიოთერაპიული აპარატი;
10. ულტრამაღალისიხშირის ფიზიოთერაპიული აპარატი;;
11. ზეტონალური სიხშირით სამკურნალო აპარატი;
12. დარსონვალიზაციის აპარატი;
13. ფიზიოთერაპიული აპარატი კომბინირებული მოქმედების სამი ფიზიკური ფაქტორით: ა) მუდმივი მაგნიტური ველით, ბ) იმპულსური ლაზერული, გ) იმფრაწითელი დიაპაზონის სიგრძის ტალღით; (აპარატის სადგამი, თავაკები, ინსტრუქცია;
14. იმპულსური მაგნიტოთერაპიის აპარატი;
15. მაგნიტოთერაპიის აპარატი მორბენალი ველით
16. მიკრომასაჟის, მაგნიტოფორეზის, ელექტროფორეზის აპარატი, (ქალის)
17. მიკრომასაჟის, მაგნიტოფორეზის, ელექტროფორეზის აპარატი, (კაცის)
18. ინტრამაგიდისათვის დასადგამი;
19. დაბალსიხშირული მაგნიტოთერაპიის აპარატი;
20. განზილლორ - 2; (თერაპიული აპარატი)
21. შუქით სამკურნალო ტორშერი;
22 იზოლდა (ფიზიოთერაპიის აპარატი)
23. ერკ - 21; (ფიზიოთერაპიის აპარატი)
24. ულტრაბგერითითერაპიის აპარატი;
25. ულტრაბგერითი ინჰალატორი;
26. დიადინამიური თერაპიის აპარატი;
27. ბორეალის ინჰალატორი;
28. ჯანმრთელობა - აპარატი ჟანგბადის კოკტეილებისათვის;
29. არომაფიტოთერაპიის კაბინეტი "არომა";
30. ტუმან - 1 - ინჰალატორი;
31. "ორბიტი" ხერხემლის დაჭიმვის და ვიბრაციის დოზირების აპარატი;
32. სამასაჟო კომპლექსი ომკ - 2 ეპს;
33. სამასაჟო სავარძელი "სუპერ - ლიდერ - მ";
34. სარძევე ჯირკვლების ადრეული დიაგნოსტიკის აპარატი ტოტ - 1;
35. დიოგრაფ დოტ - 1;
36. სიმპატიორ - 01;
37. ულტრაბგერითი სტერილიზატორის დანადგარი;
38. კომპლექსური პროგრამის აპარატი;
39. რეგრაფიული გამოკვლევის აპარატი.
40. საოპერაციო მაგიდა "სოუ".
41. საოპერაციოს ლამფა 7 ნათურიანი ჭერის.

(ადგილი - თბილისი). ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

მომსახურების შესრულების ვადაა ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის N29-ა, IV სართული სატენდერო აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

- განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
- ლიცენზიის ასლი საქმიანონის შესახებ ნოტარიულად დამოწმებული;
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ცნობა (სასამართლოს გადაწყვეტილება);
- წესდების ასლი;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებთან შერწყმა;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა, რომ ორგანიზაციისადმი და მისი ხელმძღვანელისადმი არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

მსურველი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი/ან არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემა მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების დადასტურებიდან 15 დღეში კანონით დადგენილი წესით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა, IV სართული, ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი, ტელეფონი: 37-96-70; 37-78-09.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (500 ლარი), რომელიც ირიცხება მიმღები ერთიანი არასაგადასახადო (რაიონი) ანგ. N200 122 900.

სახაზინო კოდი.

ორგანიზაციებს რაიონული რეგისტრაციის მიხედვით:

ა/ა 300 014 040 (გლდანი-ნაძალადევი);
ა/ა 300 024 040 (დიდუბე-ჩუღურეთი);
ა/ა 300 034 040 (მთაწმინდა-კრწანისი);
ა/ა 300 044 040 (ვაკე-საბურთალო);
ა/ა 300 054 040 (ისან-სამგორი).

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, ტექსტში მითითებულ მისამართზე.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*
*სატენდერო კომისიის აპარატი*

# ლაშა და პატიმრები

**ლაშა ბუღაძე** - დღეს ჩემი სტუმარია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე, ხოლო მთავარი თემაა ციხეში არსებული პრობლემები. ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, განსაკუთრებით ბოლო დროს. ერთ-ერთი უკანასკნელი პრობლემაა ციხეებში არსებული აუტანელი პირობები, რომლის გამოც ყველანაირი დაავადების გაჩენა ადვილად შესაძლებელია. გარდა ამისა, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ცხოვრობს 20-კაციან საკანში 80 პატიმარი. ისინი ძილის რიგს სამი-ოთხი დღის განმავლობაში ელოდნენ.

თეა, დღეს გისმინე ტელევიზიით და აბსოლუტურად ვიზიარებ შენს პათეტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებზე პასუხების მოპოვება მართლაც შეუძლებელი გახდა. იუსტიციის სამინისტრო კვლავ იზოლირებულ მდგომარეობაში აგრძელებს არსებობას. ეს კი, სამწუხაროდ, ამ ორგანოს უპასუხისმგებლობაზე, სრულ ინფანტილიზმზე, გაუაზრებელ და გაუგებარ ინდიფერენტულობაზე მეტყველებს, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პატიმართა უფლებები. თეა, თქვენი ინფორმაციით, რა მდგომარეობაა ამჟამად ციხეებში?

**თეა თუთბერიძე** - იქ არსებულ პრობლემებზე ჩვენ უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ 2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა შექმნა მონიტორინგის საბჭო. მან შეარჩია 21 ადამიანი, რომელთაც იმის უფლებამოსლება მისცა, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, შესულიყვნენ ნებისმიერ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში და განეხორციელებინათ მონიტორინგი. გვქონდა ვიდეო და აუდიო აპარატურის შეტანის უფლება და მოპოვებული მასალის საზოგადოებისთვის ჩვენების შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ამ საბჭომ ვერ განახორციელა საკუთარი ვალდებულებები. სამწუხაროდ, ამ საკითხის მოგვარება არ ისურვა ხელისუფლებამ. ამის შემდეგ საბჭოს ფუნქციონირება გამოიხატება იმაში, რომ მისი წევრები პერიოდულად დადიან ციხეებში და პირადად ეცნობიან იქაურ სიტუაციას. პირადად მე კვირაში ერთხელ მაინც შევდივარ თბილისში არსებულ ციხეეში, ხოლო თვეში ერთხელ რაიონებში მივემგზავრები. საუბარი იმაზე, რომ მდგომარეობა კატასტროფულია, ალბათ, ზედმეტია. ერთი პატიმრისთვის წამალზე თვეში მხოლოდ 3 თეთრია გამოყოფილი, 3 ათას პატიმარზე ერთი ექიმი მოდის, რომელიც ყველაფრის მკურნალია.

გარდა ამისა, "ქურდები" კვლავ აკონტროლებენ ციხეს, ისევ გრძელდება ე.წ. "ობშიაკებიდან" ფულის შეგროვება. ამით კი ის რიგითი პატიმრები იჩაგრებიან, რომელთა ყოფა ისედაც გაუსაძლისია. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს მეტი უფლებამოსილება. ჩვენ შეგვიძლია ამის შესახებ მონიტორინგის ჩატარება და პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრისთვის ანგარიშის წარდგენა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი პრეზიდენტს ნაკლებად აინტერესებს. იუსტიციის მინისტრს წარვუდგინეთ ანგარიში, მაგრამ არაფერი გაუთვალისწინებია. ასევე დავაყენეთ კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი. მაგალითად, შოთა კოპაძის, მაგრამ მას ვერც იუსტიციის მინისტრი ელევა და ვერც პრეზიდენტი.

მოგიყვანთ მაგალითს, თუ როგორ აკონტროლებენ ციხეში მდგომარეობას "ქურდები". პირადად მინახავს ციხის ადმინისტრაციული კორპუსის დერეფანში თავისუფლად მოსეირნე ე. წ. ავტორიტეტი ვატო ყიფიანი. მან ვერ ამიხსნა, რას აკეთებდა იქ, ისევე როგორც ვერაფერი მითხრეს იქვე მყოფმა სამართალდამცავებმა. ამიტომ მათ მოვუწოდე, ვატო ყიფიანი თავიანთ კაბინეტში მოეთავსებინათ, ხოლო თავად ჩაბრძანებულიყვნენ იქ, სადაც, წესით, პატიმარი უნდა იმყოფებოდეს.

გამოსავალი ამ სიტუაციიდან ის არის, რომ თითოეულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გადანაწილებული ავტორიტეტები და კანონიერი ქურდები იქაურობას უნდა მოაცილონ და მათთვის ცალკე, იზოლირებული დაწესებულება გამოიყოს.

**ლაშა ბუღაძე** - ჩვენ შეგვიძლია გავესაუბროთ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს ბატონ რამაზ ღულაძეს. ბატონო რამაზ, თქვენ ხშირად ხვდებით იმ პატიმრებს, რომლებიც ციხის სამედიცინო სექტორში მკურნალობენ. რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა ერთ-ერთი პატიმარი. მისი გარდაცვალების მიზეზი დაუდგენელია. რა შეგიძლიათ ამაზე გვითხრათ?

**რამაზ ღულაძე** - თამამად განვაცხადებ, რომ პაციენტს არ სჭირდა მენინგიტი. მას სჭირდა პოლიმელორადიკულონევრიტი, რომელიც გახლავთ არა დაავადება, არამედ სინდრომი, რომლის წარმოშობის მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორით იყოს გამოწვეული. პირველი შემთხვევისას, როდესაც პაციენტი ძალიან მალე გარდაიცვალა, ვფიქრობ, საქმე გვქონდა ვირუსული წარმოშობის დაავადებასთან, რომელიც საკმაოდ ხშირია. მეორე შემთხვევისას ავადმყოფს თავიდან აღენიშნებოდა მუცლის მწვავე ტკივილები და საავადმყოფოში გაუვალობის დიაგნოზით გადაიყვანეს, რაც სწორი არ აღმოჩნდა. პაციენტს მხოლოდ 10 დღის შემდეგ დაეწყო აღმავალი დამბლების კლინიკური სურათი, რომელიც რამდენჯერმე გაუმეორდა. ანუ ამ ორ შემთხვევას შორის არ არსებობს კავშირი. შესაბამისად, არც გადამდები, ინფექციური დაავადება ჰქონიათ. ამ მხრივ პატიმრებს და მომსახურე პერსონალს საშიშროება არ ემუქრება.

**თეა თუთბერიძე** - იმედი მაქვს, რომ ბატონი რამაზი თავის სიტყვებზე პასუხისმგებელია. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ ზუსტი დიაგნოზი არ დასმულა. უცნობია, კონკრეტულად რამ გამოიწვია შათირიშვილის სიკვდილი. ახსენებენ მხოლოდ სასუნთქი ორგანოების დამბლას, მაგრამ არ საუბრობენ მის გამომწვევ მიზეზებზე. რამდენიმე დღის წინ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვიყავი და იქაურმა ექიმებმაც დამიდასტურეს, რომ ზუსტი დიაგნოზი დასმული არ არის. ანუ ჯერ არ შეგვიძლია იმის მტკიცება, ეს დაავადებები ინფექციურია თუ არა. რეალურად ციხეებისა და საავადმყოფოების პირობები ისეთია, რომ ნებისმიერი ინფეცქციის კერად შეიძლება იქცეს.

**რამაზ ღულაძე** - ამ მხრივ საკითხი სწორადაა დასმული. დაავადების გამომწვევი, ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს, მათ შორის, ვირუსი, მედიკამენტები, ტოქსიკური ნივთიერება. რაც შეეხება ციხისა და საავადმყოფოების მდგომარეობას, მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა. მაგრამ რაღაც მაინც იცვლება. აშენდა ახალი ციხე კარგი სამედიცინო ცენტრით. 2003 წელთან შედარებით პატიმრთა სიკვდილიანობა ორჯერ შემცირდა.

**ლაშა ბუღაძე** - შათირიშვილის გარდაცვალების შემდეგ ითქვა, რომ იგი დაჭერილი იყო 12 ლარის ქურდობისთვის...

**თეა თუთბერიძე** - მსგავსი შემთხვევები უამრავია. ზოგი პატიმარი 3-4-წლიან სასჯელს ქათმისა და პურის ქურდობისთვისაც იხდის. 1 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ციხეზე გადაყვანილია 965 პატიმარი. მათი დიდი ნაწილი სრულიად ელემენტარული დანაშაულისთვის დააპატიმრეს. ეს კი იმის შედეგია, რომ ჩვენს ქვეყანაში რეალურად არ არსებობს სასამართლო. იქ მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებს იღებენ, რა შუამდგომლობითაც შედის პროკურატურა, რომელიც, ცხადია, ყოველთვის პატიმრობას ითხოვს. ანუ ციხის რეფორმის პარალელურად სასამართლოს რეფორმის აუცილებლობაც არსებობს. ადრე გატარებულმა სასამართლოს რეფორმამ კი იმიტომ არ გამოიწვია შედეგი, რომ არ მომხდარა პროკურატურის რეფორმა.

**ლაშა ბუღაძე** - ხაზზეა ინფექციური პათოლოგიის ცენტრის ნეიროინფექციების განყოფილების გამგე ექიმი გია დეისაძე.

**გია დეისაძე** - შათირიშვილის შემთხვევაში ნამდვილად ვირუსული წარმოშობის დაავადება იყო, რადგან ავადმყოფს აღენიშნებოდა ნერვული სისტემის დაზიანება.

**თეა თუთბერიძე** - ვფიქრობ, ამის ასე ცალსახად დადასტურება შეუძლებელია, რადგან ექიმები თვალის ერთი შევლებით ვერ ამტკიცებენ და მხოლოდ სიმპტომებით დიაგნოზს ვერ დასვამენ. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კი გამოკვლევების საშუალება არ არსებობს. ამიტომ რაღაცის მტკიცება არ შეიძლება.

**გია დეისაძე** - ვერ დაგეთანხმებით, რადგან მენინგიტი და მიელიტი დიამეტრულად განსხვავებული დაავადებებია და ექიმს ერთმანეთში არ აერევა. სხვა საკითხია, რამ გამოიწვია დაავადება, რასაც ციხის პირობებში ვერ გაიგებდნენ.

**თეა თუთბერიძე** - გავარკვიე ისიც, რომ შათირიშვილი გარდაიცვალა არა 4 სექტემბერს, არამედ 31 აგვისტოს. წინა დღეს იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ანუ ექიმები მიხვდნენ, რომ პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი ჰოსტალიზაცია აუცილებელი იყო. მაშინ რატომ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მისი მკურნალობისა და გამოკვლევის არანაირი საშუალება არ არსებობდა და მომაკვდავი ადამიანი გაწირეს?

**ლაშა ბუღაძე** - სასამართლოს რეფორმაზე საუბრისას უკვე აღნიშნავენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის აუცილებლობას.

**თეა თუთბერიძე** - ეს სავსებით რეალურია. მასზე "თავისუფლების ინსტიტუტი" დიდი ხანია მუშაობს. მაგრამ არსებული სისტემის ძირეული რეფორმაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტს აზრი არ ექნება, თუმცა, გარკვეულ ცვლილებას მაინც გამოიწვევს.

**ლაშა ბუღაძე** - მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის.

ოლიმპიზმი

# ოლიმპიზმისა და მშვიდობის იდეები თანამედროვე მსოფლიოში

მარინა ჭამალაშვილი

საქართველო 2014 წლისთვის მსოფლიო ოლიმპიადის ჩატარების კანდიდატი ქვეყანაა, რაც დღეს უფრო აქტუალურს ხდის ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდას. ოლიმპიური თამაშების ყველაზე დიდი ღირებულება კი მშვიდობის ჰუმანური იდეების დამკვიდრებაა დედამიწის ხუთივე კონტინენტზე. შემთხვევითი ხომ არაა, რომ ოლიმპიური შეჯიბრების დროს ყოველგვარი სამხედრო მოქმედება წყდებოდა. "სამთვიანი მშვიდობიანი მორატორიუმი", რომელსაც ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები იცავდნენ, საშუალებას იძლეოდა სრულად გამოვლენილიყო ოლიმპიადაში მონაწილეთა სპორტული ჟინი და შემართება.

ოლიმპიზმის იდეების ხელახლა აღორძინება ისეთ ეპოქაში მოხდა, როცა ევროპა ორ, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკად ("ანტანტა" და "სამთა კავშირი") გაითიშა. ოლიმპიზმის იდეების აღორძინებას ამ დროისთვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეალები დაედო საფუძვლად, რომელთა პირველი დიდი მქადაგებელი პიერ დე კუბერტენი იყო. ამ ანტიმილიტარისტულ კამპანიას მაშინდელ საქართველოში მხარი აუბეს ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე. ამ დროისთვის ნიკო ნიკოლაძემ ციურიხში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ევროპის განიარაღების პრობლემაზე. გაზეთმა "ივერიამ" კი ამავე პრობლემას არაერთი სტატია და წერილი მიუძღვნა. სტატიაში "ევროპის მილიტარობა და კაცობრიობის მერმისი" ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ევროპაც და მსოფლიოც მხოლოდ მაშინ დააღწევს თავს გაუთავებელ ომებს, როცა ჩვენ ყველანი შევძლებთ დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერ მორიგებას. სწორედ ილიასეულ "დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგების" საუკეთესო გამოვლინებაა ოლიმპიადები, რომლებიც არაერთხელ ჩაშალა მეოცე საუკუნეში წამოწყებულმა ომებმა.

ყველაფრის მიუხედავად, ოლიმპიზმისა და მშვიდობის ჰუმანური იდეები გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა ომისა და კაცთმოძულეობის იდეებზე. 1948 წლიდან ზედიზედ იმართება სულ უფრო გრანდიოზული და მასშტაბური ოლიმპიადები, რომლებშიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა სახელმწიფო იღებს მონაწილეობას. განსაკუთრებული სიამაყით უნდა აღვნიშნოთ ათენის 28-ე ოლიმპიადა. ეს ოლიმპიადა ჩვენთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მან საქართველოს ორი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოუტანა, რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისთვის.

სამწუხაროდ, დესტრუქციული ძალები კვლავ განაგრძობენ ოლიმპიადის იდეალების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მხრივ ყველაზე ტრაგიკული მიუნხენის 1972 წლის XX ოლიმპიადა აღმოჩნდა, როცა ტერორისტულმა ორგანიზაციამ "შავი სექტემბერი" ისრაელის დელეგაციის 11 სპორტსმენის სიცოცხლე იმსხვერპლა. 2001 წლის შემდეგ მსოფლიოში მიმდინარე ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე დღესაც არსებობს რეალური საფრთხე.

ჩვენთვის, ქართველებისთვის საამაყოა, რომ ჩვენი წინაპრები ძველ ოლიმპიურ თამაშებშიც იღებდნენ მონაწილეობას, რაც ბერძნული, რომაული და სხვა ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. ძველი წყაროები აფიქსირებენ, თუ როგორ დაუდგეს ცხენიანი ძეგლი ფარსმან ქველს რომში, ცხენოსნობაში გამოჩენილი ოსტატობისთვის. ამავე წყაროებით, სინოპელი ქართველები რუფუსი და ეკლეტკა ოლიმპიადის გამარჯვებულებად მოიხსენიებიან. 1952 წლიდან ჩვენმა სპორტსმენებმა მრავალი მედალი მოიპოვეს. 30 მათგანი ოლიმპიადის ჩემპიონია. ეს ჩვენი წვლილია კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარებისა და პროგრესის საქმეში. აქედან გამომდინარე, ჩვენმა ხელისუფლებამ და თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ საქართველომ 2014 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა დაიმსახუროს, რაც ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟისა და რეიტინგის განმტკიცების საწინდარიც იქნება. სტაბილურობა და განვითარება - ესაა მთავარი გარანტი ამ მიზნის მისაღწევად. ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე დაიწყო 2014 წლის ოლიმპიადისთვის მზადება და ძალების ამ მიმართულებით მობილიზება. ახლა ჯერი საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებსა და ქველმოქმედებზეა.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და ურბანისტიკის სფეროებში

ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):
ყოფის ისტორია
■ სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში
ეთნიკურობა და საზოგადოება
■ ქალაქის სოციალური ანთროპოლოგია
პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
■ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ)

სოციოლოგია:
უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
■ ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
■ "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
■ სოციალურ-ტერიტორიული ერთობების განვითარება
მდგრადი ქალაქგანვითარება (ურბანისტიკა):
საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
■ არქიტექტურა და ხელისუფლება
ქალაქის ტოპოგრაფიის დინამიკა
■ ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა
ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)
■ ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1970-1983 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2006 - 31.12.2006. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი ფონდის მიერ ორგანიზებული პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
■ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **25 ოქტომბერი, 18:00** სთ.

**საჭირო საბუთები**
1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ქ. ონის სკოლა ლიცეუმის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**ონის სათემო კავშირთან "იმედი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "იმედი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ქ. ონი**
**სკოლა ლიცეუმის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნინო მეტრეველი, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **17 სექტემბრიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ქ. ონი**
**სკოლა ლიცეუმის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნინო მეტრეველი, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 ოქტომბერი 16 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს საერთაშორისო ღია ტენდერს კანდელაკის, ნუცუბიძისა და ალ. ყაზბეგის ქუჩებზე გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 პოზიციად: 1. კანდელაკის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია; 2. ნუცუბიძის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია; 3. ალ/ყაზბეგის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
სანათების და კაბელების შეცვლა, გარე განათების კარადების შეცვლა, ბოძების აღდგენა.
**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის
1 დეკემბერი.
**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 ოქტომბრის 12 საათიდან 4 ოქტომბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
**4.** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
5.1 **იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
5.2 **ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
*6.* ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.
*7.*იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
*8.* სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 6 ოქტომბრის 12 საათიდან 7 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
9. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებულ იქნება პრეფერენციული შეღავათი 15% -ის ფარგლებში.
**10.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
**11.** ტენდერში პოზიციების მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.
**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ტარიელ ხიზანეიშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 92-07-80 და ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
***** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

*სატენდერო კომისია*

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### "გიორგი ნიკოლაძე" საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მარტივი ტიპის, ღია სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობის პროგრამა

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული მოედნების მოსაწყობად**

კონკურსის პირობები:
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს რომლებიც კანონის შესაბამისად რეგისტრირებული არიან როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საპროექტო წინადადების დასაფინანსებლად მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს

- თუ საპროექტო წინადადების ბიუჯეტი აღემატება 3000 ლარს უნდა იყოს მითითებული დამატებითი დაფინასების წყაროები და საპროექტო წინადადებას უნდა ერთვოდეს თანადამფინასებლის თანხმობის წერილი

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება 2005 წლის 5 დეკემბრამდე უნდა იყოს ნავარაუდევი

- პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლის დაფინანსებაც ნავარაუდევია ამ კონკურსის ფარგლებში უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სკოლის ღია სპორტული მოედნების აღდგენას ან მოწყობას

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სკოლებმა საპროექტო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეკზემპლარად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან განათლების რეგიონალურ განყოფილებებში სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით, არაუგვიანეს 2005 წლის 30 სექტემბრის 18 საათისა.

კონკურსში გამარჯვებული სკოლები გამოცხადდებიან 2005 წლის 30 ოქტომბერს.

დაინტერესებულმა პირებმა დეტალების დასაზუსტებლად მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან განათლების რეგიონალურ განყოფილებებს სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით.

მისამართი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოთახი 119,

**დ. უზნაძის ქ N52, თბილისი 0102, საქართველო, ტელ: 959912 ან 899111754**

---

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
### საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორთა *კონკურსში გამარჯვებულთა სია*

1. ანასაშვილი არჩილ
2. გოგნაძე კახა
3. გოგრიჭიანი მამია
4. გუდაძე მაია
5. გულედანი ბესარიონ
6. დუჩიძე ნანი
7. დუჩიძე შორენა
8. ზაალიშვილი ზაალ
9. იოსელიანი ნანა
10. კალოევ-დოლბაძე დავით
11. კილაძე ლაშა
12. კრავეიშვილი თამაზ
13. მიქელაძე ლევან
14. მიშველიძე ქეთევან
15. ნარეკლიშვილი კახა
16. საყვარელიძე პაატა
17. ტურაშვილი ლევან
18. უსტიაშვილი ანა
19. ფერაძე თამილა
20. ქურდაძე მერი
21. ყიფშიძე ირაკლი
22. შონია ლელა
23. ჩაკვეტაძე ლევან
24. ჩერქეზიშვილი გოჩა
25. ცუცქირიძე ვლადიმერ
26. წიწავა ვლადიმერ
27. წულაია ნათია
28. ჭაბუკიანი ჭაბუკი
29. ხითარიშვილი ალექსანდრე
30. ჯანაშია იოსებ

კონკურსის შედეგებით უკმაყოფილო კონკურსანტი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს ცესკოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით. პრეტენზიებს განიხილავს საპრეტენზიო კომისია.

განცხადებები მიიღება 2005 წლის 17 და 18 სექტემბერს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის შენობაში, 10 სთ-დან 18 სთ-მდე (შესვენება 13 სთ-დან 14 სთ-მდე).

**მის: რუსთაველის გამზ. N29**
**ტელ: 98 77 08**
**საკონტაქტო პირი: ნინო კორინთელი**

---

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 14.09.2005წლის N31 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2005წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, პარლამენტის შენობის საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის, კონსტრუქციების მზიდუნარიანობისა და ნაგებობის სეისმომედეგობის კვლევით სამუშაოებზე (რეკომენდაციებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებით) პარლამენტი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005წლის 3 ოქტომბრის 10⁰⁰სთ-დან 5 ოქტომბრის 16⁰⁰სთ-მდე**, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

3.1 **იურიდიული პირისთვის:**
ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);
დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);
ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

3.2 **ფიზიკური პირისთვის:**
ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);
ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
ზ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);
თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2005წლის 12 ოქტომბრის 10⁰⁰-დან 13 ოქტომბრის 16⁰⁰-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000141408 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*

---

**AEDES**
34, rue Joseph II, B-1000 Bruxelles, Tel: +3222190306, Fax: +3222190938, internet www.aedes.be

### AEDES აცხადებს ორი ადგილობრივი ექსპერტის ვაკანსიას ევროკავშირის TACIS პროგრამით დაფინანსებულ პროექტში სახელწოდებით

### "იურიდიული მხარდაჭერა საქართველოს საციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროების რეფორმისათვის"

ექსპერტებს დაევალებათ ანალიზის მომზადება პროექტის განსაზღვრული მიზნებისა და კრიტერიუმის შესაბამისად.

*სამუშაოს მოცულობა:*

უფროსი იურისტი, სოციალური დაზღვევისა და საოციალური დახმარების კანონმდებლობის სპეციალისტი, ხელს შეუწყობს საერთაშორისო იურისტ- ექსპერტს სოციალური დაცვის ინსტიტუტების (ასევე საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის მართვაში მონაწილე სხვა ეროვნული ორგანოების) მოწყობის/ ორგანიზაციის აღწერასა და ანალიზში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს საქართვილოს სოციალური დაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებს.

უფროსი იურისტი ან იურისტ-ექსპერტი, საქართველოს ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაზღვევისა და დაფინანსების კანონმდებლობის სპეციალისტი, დაეხმარება საერთაშორისო ექსპერტს აღწეროს და გააანალიზოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების იურიდიული მოწყობის სფერო, ასევე საქართველოს ჯანმრთელობის სისტემაში მონაწილე სხვა ერთეულების მართვისა და ორგანიზების საკითხები. განსაკუთრებით საყურადღებო იქნება საქართველოში მიმდინარე რეფორმის პროცესები ჯანდაცვის დაფინანსების მიმართულებით.

*მოთხოვნები:*
ადგილობრივი ექსპერტი I: იურისტი და ექსპერტი სოციალური დაცვის დარგში

კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
1) ტექნიკური:
- საქართველოს სოციალური დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემების ცოდნა
საქართველოს იურიდიული სისტემის ცოდნა
- ურთიერთობა/ განსაკუთრებული შეხება არსებულ და მიმდინარე იურიდიულ გარემოსთან ანგარიშგება ღონისძიებების თაობაზე
- გამოცდილება კანონშემოქმედებით საქმიანობაში
2) უმაღლესი იურიდიული განათლება
3) საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება
4) 5 წლიანი სამსახურებრივი სტაჟი
5) ენის ცოდნა - წერითი ინგლისური

ადგილობრივი ექსპერტი II: იურისტი და ჯანდაცვის ექსპერტი

კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
1) ტექნიკური:
საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების ცოდნა
- საქართველოს იურიდიული სისტემის ცოდნა
ანგარიშგება ღონისძიებების თაობაზე
- გამოცდილება კანონშემოქმედებით საქმიანობაში
2) უმაღლესი იურიდიული განათლება
3) საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება
4) სამუშაო სტაჟი (3-5 წლამდე უმცროს ექსპერტად, 5-10 საშუალო დონის ექსპერტად, 10 წელზე მეტი უფროს ექსპერტად)
5) ენის ცოდნა (ბრწყინვალე ინგლისური და ქართული)

ორ ექსპერტს კონტრაქტი გაუფორმდებათ 2005 წლის 1 ნოემბრიდან, ნახევარ განაკვეთზე, 9 თვის ხანგრძლივობით (დამატებით ერთი თვის შესაძლებლობით).

ინგლისურ ენაზე ავტობიოგრაფიის (CV-ის) და მოტივაციის წერილის წარდგენის ბოლო ვადაა **30 სექტემბერი, 17:00 საათი**. CV უნდა გაეგზავნოს პროფესორ იგორ ტომეშს (ელ.ფოსტა: tomes@vol.cz). შერჩეული კანდიდატები მიწვეულ იქნებიან ინტერვიუზე, სადაც ხელთ უნდა იქონიონ თავიანთი CV და მოტივაციის წერილი.

---

**AEDES**
34, rue Joseph II, B-1000 Bruxelles, Tel: +3222190306, Fax: +3222190938, internet www.aedes.be

### intends to recruit 2 experts to assist the EU TACIS FUNDED PROJECT "Legal Advice in Support of Reform of the Social Protection and Health Care Sectors"

The recruited experts will be responsible for preparing analysis according to the defined project objectives and criteria.
*Scope of requested work:*

The Senior lawyer specialised in social insurance/social assistance legislation will assist the international legal expert in the description, the analysis of the organisation of the social security institutions and other national institutions involved in the organisation and/or the management the social protection systems in Georgia. She/He will particularly focus on the ongoing reform process in social protection.

The Senior lawyer or legal expert specialised in Georgian health care, health insurance and health financing legislation will assist the international legal expert in the description, the analysis of the organisation of legal regulation of health care institutions, health care financing and other national institutions involved in the organisation and/or the management the health systems in Georgia.
She/He will particularly focus on the ongoing reform process, of the health care financial flows.

*Required qualifications:*
Local expert I: Legal expert in social protection

**Qualifications and skills**
1) Technical skills
- Familiarity with social security system and social assistance systems in Georgia
Familiarity with Georgian legal framework
- Primary treatment of the existing and on-going legal framework
Reporting on activities
- Experience in drafting legal texts
2) Graduated lawyer
3) Previous experience of working in international projects (in years)
4) 5 Years of professional experience
5) Language skills - English in writing

Local expert II: Legal expert in health sector

**Qualifications and skills**

1) Technical skills
- Familiarity with health care, public health and health financing systems in Georgia
Familiarity with Georgian legal framework
- Primary treatment of the existing and on-going legal framework
Reporting on activities
- Experience in drafting legal texts
2) Graduated lawyer
3) Previous experience of working in international projects (in years)
4) Years of professional experience (3-5 years junior expert, 5-10 medium level expert and over 10 senior expert)
5) Language skills (brilliant English and Georgian)

The two experts will be contracted for a part-time job for a period of 9 months (with an optional additional month) starting from November 1, 2005.

The **closing date** for submitting a hard copy Curriculum Vitae and cover letter indicating interest and qualifications in English, is **30 September, 17.00 hrs.** CVs should be addressed to Dr. Igor Tomes (e-mail: tomes@vol.cz). Selected applicants will be invited to an interview. They are expected to bring their CV and cover letter to the interview (hard copies).

# "მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები



1

### მარგარიტა ლუჩკო

ასაკი: 19 წლის
სიმაღლე: 182 სმ.
პარამეტრები: 90-63-94

**- როდის ახვედი პირველად პოდიუმზე?**

- ხუთი წლის წინ, მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. აბრამ ბაზელის ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა. ნათლად ეს დღე არ მახსოვს. ძალიან ვღელავდი და იმიტომ. თუმცა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მეგონა კარგად ვერ ვიმოძრავებდი, მაგრამ როგორც ჩანს, თავი კარგად გავართვი, ტელევიზორშიც მაჩვენეს, მაშინ ეს ძალიან გამიხარდა. შემდეგ სხვადასხვა დიზაინერების კოლექციებს წარვადგენდი, მათ შორის ზალიკო ბერგერის. ძალიან მადლიერი ვარ მშობლების. მათ ჩემი განათლებისა და აღზრდისთვის ბევრი რამ გააკეთეს. მე სიმღერაც მიყვარს და ვმღერი კიდეც, რამდენიმე ხნის წინ "16 რაუნდში" კონცერტიც გვქონდა.

**- რუსულ სიმღერებს მღერი?**

- რუსულსაც და ქართულსაც. თანდათან ქართულ ენასაც ვსწავლობ, რადგან ვფიქრობ, რომ არ შეიძლება საქართველოში ცხოვრობდე და ქართულად ვერ ლაპარაკობდე.

**- სცენა გიყვარს?**

- სცენა ძალიან მიყვარს, ბავშვობიდან ასეა. სკოლაში დადგმულ სპექტაკლებში მთავარ როლებს ვასრულებდი, ვმღეროდი. საერთოდ ლაღი და მხიარული ადამიანი ვარ, მგონი, მეგობრულიც. აქაურ გოგოებსაც მეტოქეებად ნამდვილად არ აღვიქვამ, პირველ რიგში, ჩემი მეგობრები არიან და მათ დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებ.

**- რადგან სცენაზე თავისუფლად გრძნობ თავს, უკვე პოპულარობისთვისაც მზად იქნები.**

- რა თქმა უნდა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ვარსკვლავები არ ხდებიან, ვარსკვლავებად იბადებიან. როდესაც სულიერად ლამაზი ხარ, ეს შენს საქმიანობაზე, ურთიერთობებზე და გარეგნობაზეც აისახება.

**- რაზე ოცნებობ?**

- მინდა, თითებით შევეხო ცას, მივწვდე ვარსკვლავებს... ჩემი ცხოვრებისეული კრედო ქალური იდუმალების შენარჩუნებაა და ასე მგონია, მე ბოლომდე გამოცანად დავრჩები.

ხმა მიეცით თქვენს რჩეულს
და აირჩიეთ
**"ტელემაყურებლის სიმპათია"**:
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
**"მის-ფოტოგენურობა"**



2





### მარი ნურიევა

ასაკი: 19 წლის
სიმაღლე: 177 სმ.
პარამეტრები: 90-60-90

**- როდის გახდი მოდელი?**

- თანატოლებისგან ყოველთვის გამოვირჩეოდი ფიგურით და სიმაღლით, მაგრამ მოდელობაზე მაინც არ ვფიქრობდი. შეიძლება ითქვას, პოდიუმზე გასვლა დედამ მირჩია. "იმიჯცენტრში" მივედი და იქ საბოლოოდ დავრწმუნდი გადაწყვეტილების სისწორეში. მას შემდეგ აქ ვმუშაობ, "იმიჯ ცენტრის" მოდელი ვარ. პარალელურად ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ვსწავლობ. ინგლისური ენის სპეციალისტი გავხდები.

**- მომავალში რას აპირებ, როგორ უნდა შეუთავსო სამსახურს პოდიუმი?**

- ძალიან მინდა, კარგი თარჯიმან-რეფერენტი გავხდე. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, თუმცა, პარალელურად მოდელობასაც გავაგრძელებ. ალბათ, მომავალში ამ ყველაფერს ოჯახსაც იოლად შევუთავსებ. მოვინდომებ და გამომივა.

**- რა არის შენი ჰობი?**

- ბავშვობიდან ვხატავ. მინდოდა, ხატვას პროფესიულად დავუფლებოდი, მაგრამ შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება გადავიფიქრე. ხატვით ყოველთვის დავხატავ, ენის ცოდნა და რეალური პროფესიის ქონა კი კარიერის გაკეთებაში დამეხმარება.

**- გამოდის, შენთვის ხატავ, გამოფენის მოწყობას ხომ არ აპირებ?**

- არა, გამოფენას არ მოვაწყობ. ჩემთვის დავხატავ ხოლმე.

**- ბოლოს რა დახატე?**

- ზამთარი. ძირითადად ზამთრის თემებს ვხატავ თეფშებზე ზეთის საღებავებით, გობელენზე მუშაობაც მიყვარს. ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.










## გაზეთი "წიგნები" ახალ, 6-ე ნომერში გთავაზობთ

**პოლემიკა**

დალი სინჯარაძისა და ზურაბ ლავრელაშვილის საპასუხო წერილები გაზეთ "წიგნების" წინა, 5-ე ნომერში გამოქვეყნებული გიორგი კაკაბაძის სტატიაზე "ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ".

**პროზა**

ლევან ორახელაშვილისა და ზაალ სამადაშვილის მოთხრობები.

**ესე**

ანდრო ბუაჩიძის წერილი მამუკა სალუქვაძის შესახებ.

**ინტერვიუ**

საუბარი რომან "თბილისიმოს" ავტორთან, ვასილი დიმოვთან.

**რეცენზია**

გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა 3-ე ტომი, შმუელ აგნონი, "ედო და ეინამი", მიშელ ფუკო, "სიტყვები და საგნები".



## უფროს კლასელთა საყურადღებოდ!
### კავკასიის უნივერსიტეტი
### (კავკასიის ბიზნესის სკოლა /csb/)

აცხადებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X-XI კლასელთა მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის პროფილით.

საბუთების მიღება წარმოებს 5-დან 25 სექტემბრამდე.

**გთხოვთ, ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:**
**მის: კოსტავას 77, VI კორპ., IV სართ.**
**ტელ: 941-691 , მობ. (899) 925-098**
**საკონტაქტო პირი: ქეთი ქორქია**


**გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (მსპ) ოფისი თანამშრომლობისათვის იწვევს სატრანსპორტო კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ მსპ-ს ტვირთების გადაზიდვაში საქართველოს მასშტაბით.**

**გთხოვთ, ა.წ. 15 სექტემბრამდე მოგვაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია კომპანიის/ფირმის პროფილის შესახებ შემდეგ მისამართზე:**

**თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 39ა, IX სართული.**
**მსპ საქართველოს ოფისის დირექტორს, ქ-6 ინგე ბროიერს**






## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**

წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

